შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის მნიშვნელობა და ამოცანები შეზღუდული შესაძლებლობის პირების რეაბილიტაციისა და დასაქმების პროცესში

დაამუშავა:
ბარტლომიეი პიოტროვსკი

2014

ანგარიშგება შექმნილია პროექტის „შშმ პირთა მხარდაჭერის სისტემის იურიდიული, ფინანსური და ადმინისტრაციული საფუძვლები - კარგი პრაქტიკების მაგალითები“ ფარგლებში, რომელიც განხორციელებული იყო შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ 2014 წელს განვითარებაში პოლონური დახმარების სახსრებით.

ავტორი: ბარტლომიეი პიოტროვსკი
შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წელს განვითარებაში პოლონური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

გამოცემა გამოხატავს მხოლოდ ავტორის აზრს და არ უნდა იყოს გაიგივებული პოლონეთის საგარეო საქმეთა სამისტროს ოფიციალურ პოზიციასთან .

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული რეაბილიტაციის და დასაქმების პროცესში PFRON-ის მთავარი როლის და ამოცანების წარმოსადგენად უპირველეს ყოვლისა უნდა დავალაგოთ და გავნსაზღვროთ ძირითადი ცნებების და საგნობრივი და სუბიექტური შეზღუდვების პრაქტიკული ფარგლები, რომლებიც ეხება შემდეგ მდებარე ნაშრომს.

PFRON – შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი არის საჯარო ადმინისტრაციის ორგანო, რომელიც ახორციელებს და თანააფინანსებს სახელმწიფო პოლიტიკას შშმ პირთა რეაბილიტაციის და დასაქმების ფარგლებში. PFRON-ის მიერ დაგროვილი სახსრები შეიძლება იყოს გაცემული მხოლოდ იმ მიზნებზე და ისეთნაირად, რომლებსაც განმარტავს 1997 წლის 27 აგვისტოს კანონი **შშმ პირთა პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ**[1] - შემდგომ წოდებული **კანონად**.

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი სპეციალური იურიდიული ფორმით მოქმედი საჯარო დაწესებულებაა და წოდებულია პოლონურ კანონმდებლობაში როგორც *მიზანმიმართული ფონდი* (**მიზანმიმართული სახელმწიფო ფონდი** არის ცალკეულ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო ფინანსების სექტორის ორგანიზაციული ფორმა, რომლის შემოსავალია საჯარო სახსრები, ხარჯები კი გაღებულია გარკვეული სახელმწიფო ამოცანების განხორციელებაზე). იგი მოქმედებს 1997 წლის 27 აგვისტოს შშმ პირთა პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ კანონის საფუძველზე, მისი სახსრები განკუთვნილია შშმ პირთა პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციაზე და მათ დასაქმებაზე. PFRON არსებობს 1991 წლიდან. **PFRON-ის შემოსავალს** უმთავრესად შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაცია და დამსაქმებლების სავალდებულო ყოველთვიური ანარიცხები, რომლებიც ასაქმებენ სრული შტატის არაუმცირეს 25 მუშაკს, მათ დაწესებულებაში შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი კი 6%-ზე ნაკლებია. ფონდის ანარიცხებისგან გათავისუფლებული არიან ის დამსაქმებლები, რომელთა შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი არანაკლებ 6%-ია. ფონდზე ზედამხედველობას ასრულებს სათანადო მინისტრი სოციალურ უზრუნველყოფის საკითხებში, რომელიც, შშმ პირთა საკითხებში სამთავრობო წარმომადგენლის დადებითად დამტკიცებული ფონდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ამტკიცებს ფონდის ორგანიზაციის განმსაზღვრელ სტატუსს, ვრცელ წესებს და მოქმედების რეჟიმს, მისი ორგანების ჩათვლით. PFRON-ს გააჩნია სამეთვალყურეო საბჭო. PFRON-ის სამეთვალყურეო საბჭო შესდგება საბჭოს თავმჯდომარისგან, რომელიც სამთავრობო წარმომადგენელია შშმ პირთა საკითხებში, სათანადო მინისტრის წარმომადგენლისგან საჯარო ფინანსების საკითხებში, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან, მათში დამსაქმებლების ყოველი ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენლისგან და პროფკავშირების ყოველი ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენლისგან (სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში სამმხრივი კომისიის შესახებ კანონის მიხედვით). საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს სათანადო მინისტრი სოციალური უზრუნველყოფის

[1] http://www.niepelnosprawni.gov.pl/prawo/

საკითხებში, შშმ პირთა საკითხებში სამთავრობო წარმომადგენლის და უფლებამოსილი ორგანიზაციების განცხადების საფუძველზე. საბჭოს წევრების მოქმედების ვადაა 2 წელი. PFRON-ის სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებში შედის განსაკუთრებით: მოქმედების გეგმების და PFRON-ის ფინანსური გეგმის პროექტის დამტკიცება და ფონდის სახსრებიდან დაფინანსებული ღონისძიებების შერჩევის კრიტერიუმების შეფასება, შშმ პირთა დასაქმების, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის პოლიტიკის მიზანმიმართული პრინციპებს თანახმად, რომლებიც განსაზღვრულია წარმომადგენლის[2] მიერ.

ქვემოთ PFRON-ის პროგრამების და ამოცანების წარდგენის გარდა, მოთავსებული იქნება (გრაფიკულ ფორმაში გამოსახული) **კარგი პრაქტიკების** მაგალითები. საუკეთესო გადაწყვეტილებების, როგორც კარგი ორგანიზაციის სამოდელო მაგალითების, გამოყენების იდეა პირველად გამოყენებულ იქნა კერძო კორპორაციების მიერ. დღესდღეობით გამოყენებულია საყოველთაოდ არა მარტო ბიზნესში, არამედ როგორც ევროკავშირის წევრი-ქვეყნების ყველა საჯარო პოლიტიკებში, გამოცდილების გაზიარების ფრიად პოპულარული ფორმა. კარგ პრაქტიკებზე მითითების ფორმა ფრიად მრავალფეროვანია Benchmarking-ური ფორმალური პროცედურებიდან დაწყებული ნებისმიერად შერჩეული მაგალითების ზედაპირულ აღწერამდე დამთავრებული. საერთოდ, კარგ პრაქტიკებად მაინც ითვლება: მოსაზრებები, პრაქტიკები და პროექტები, რომლებიც პრაქტიკაში წარმატებით იყო განხორციელებული. პოლონეთში სოციალური პოლიტიკის სფეროში არსებობს ბევრი მაგალითი რომელიც მიუთითებს ამ იდეას, გამოიცემა ასეთი პრაქტიკების მრავალი კატალოგები, აგრეთვე ეწყობა კონკურსები მოცემულ ფარგლებში საუკეთესო პოლიტიკებისა - ასეთი კონკურსების ლაურეატები არიან როგორც კარგი პრაქტიკების მაგალითები მოცემულ ფარგლებში. ამ მასალაში, კარგი პრაქტიკების ძიებაში შევეხებით ასეთ კატალოგებს და განხილული ამოცანების ფარგლებში კონკურსების შედეგებს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი კარგი პრაქტიკების გამორჩევაში და აღწერაში

კონკურსი LODOŁAMACZE ('ყინულის მჭრელები') - კონკურსის **LODOŁAMACZE** იდაა იმ კერძო პირების და დამსაქმებლების გამორჩევა და დაჯილდოვება, რომელბიც განსაკუთრებით ჩართულები არიან შშმ პირთა პრობლემების გადაჭრაში სოციალური და პროფესიული ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. ჯილდოები კონკურსში **LODOŁAMACZE** მინიჭებულია შემდგომ კატეგორიებში: **დაცული დასაქმება** - დამსაქმებლები, რომლებსაც გააჩნია დაცული დასაქმების დაწესებულების სტატუსი და პროფესიული აქტიურობის დაწესებულებები, **ღია შრომითი ბაზარი** - ღია შრომითი ბაზრის მეწარმეები (იურიდიული ფორმის მიუხედავად), ამაში აგრეთვე ასოციაცები, ეკონომიკური საქმიანობის მქონე და მეწარმის სტატუსის მქონე ფონდები, **დაწესებულება** - საჯარო ადმინისტრაცია, კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულები, არასამთავრებო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები და ა.შ.

[2] http://www.pfron.org.pl/pl/pfron/1,PFRON.html

სოციალური ეკონომიის კარგი პრაქტიკების ატლასი - კარგი პრაქტიკების ატლასი შეიქმნა პოლონური სოციალური ეკონომიის ღონისძიებების პრომირებისთვის ანუ იმათი, რომლების ცდილობენ გააერთიანონ სოციალური მიზნების განხორციელება ბაზარზე ეფექტურ საქმიანობასთან. პოლონეთში ასეთი ღონისძიებები ბევრია. ყოველ მათგანს გააჩნია თავისი სპეციფიკა, თავისი ისტორია, ლიდერები. ყოველი მათგანი არის განუმეურობელი. მათ აკავშირებს მიზანმიმართულობა, ჩართულობა, ხალხის თავგანწირვა, რომლებსაც დაბრკოლებების მიუხედავად სურთ სიკეთის კეთება, უნდათ რომ იყოს უკეთესი მომავალი.

„პოლონეთში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შშმ პირთა პროფესიული გააქტიურების კარგი პრაქტიკები“ შრომისა და სოციალური საკითხების ინსტიტუტი. PFRON-ის სახსრებით დაფინანსებული პროექტი. პროექტის მიზანი იყო შშმ პირთა პროფესიული გააქტიურების გაზრდისკენ მიმართული მოქმედებების გავრცელება და კარგი პრაქტიკების მაგალითების გაზიარება შშმ პირთათვის მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. საუკეთესო ღონისძიებების ავტორების ცოდნის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის შექმნამ გავლენა მოახდინა არასამთავრობო ორგანიზაციების დაინტერესებაზე პროფესიული გააქტიურების თემიტიკით და მის მიერ მომზადებული პროექტების ხარისხზე და ეფექტურობაზე.

განხილული PFRON-ის ამოცანები შეეხება სუბიექტურად **შშმ პირებს**. ამ ცნების განსაზღვრების და ფარგლების საკითხი საკამოდ უბრალოა ამ ნაშრომის ფარგლებში (მთლიან სოციალურ პოლიტიკაში ამ საკითხის სირთულის მიუხედავად). რადგან PFRON-ის მოქმედებები (რომლებსაც განვიხილავთ შემდგომ) ეხება, კანონის თანახმად, განსაკუთრებით იმ პირებს, რომელთა შეზღუდულობა დამტკიცებულია შესაბამისი ცნობით. აგრეთვე, არ დავიწყებთ აქ პოლონეთში ექსპერტიზის, ამავედროს საკმაოდ რთული სისტემის დაწვრილებით განხილვას. შევჩერდებით განხილული PFRON-ის ამოცანების განხორციელებაზე უშუალო გავლენის მქონე ძირითადი ინფორმაციის წარმოდგენაზე.

ქვემოთ მდებარე ნაშრომის საგნის მიზნებისთვის შეზღდულობის შესახებ დადგენისცნობას გასცემენ:
პოვიატის/საქალაქო ჯგუფები შეზღუდულობის დადგენის საკითხებში - როგორც პირველი ინსტანცია; სავოევოდო ჯგუფები შეზღუდულობის დადგენის საკითხებში - როგორც მეორე. პოვიატის/საქალაქო ჯგუფები შეზღუდულობის დადგენის საკითხებში გასცემენ ცნობას: შეზღუდულობის; შეზღუდულობის ხარისხის; შეღავათების და უფლებების შესახებ. საგნობრივი ცნობები, ადამიანის შშმ პირად აღიარების სტატუსის დადგენის გარდა, გახლავთ აგრეთვე სხვადავა შეღავათების და უფლებების მინიჭების საფუძველი ცალკეული კანონების საფუძველზე. შეზღუდულობის ხარისხის შესახებ ცნობის შემთხვევაში, ზემოხსენებული კანონები ითვალისწინებენ შეზღდულობის დაყოფას მისი ხარისხების განსაზღვრით. დადგენილია შეზღუდულობის სამი ხარისხი: მნიშვნელოვანი, ზომიერი, მსუბუქი. დაინტერესებული პირის შეზღუდულობის ხარისხი დადგენილია განსაზღვრული დროით ან მუდმივად. ამას განაპირობებს ამ პირის ფუნქციონირების გაუმჯობესების შესაძლებლობის შეფასება. შეზღუდულობის ხარისხის შესახებ ცნობა გაეცემა პირს, რომელსაც შეუსრულდა 16 წლის ასაკი.[3]

[3] http://www.niepelnosprawni.gov.pl/status-osoby-niepelnosprawnej/instytucje-orzekajace-procedur/

შეზღუდულობის ცნობის, შეზღუდულობის ხარისხის შესახებ ცნობის ან შეღავათების და უფლებების მინიჭების შესახებ ცნობის არსებობა უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ასეთი ცნობის მფლობელი პირის სტატუსს როგორც შშმ პირისა იურიდიული გაგებით. შეზღუდულობის ფაქტის იურიდიული მტკიცებულება 2011 წელს გააჩნდა 3,1 მლნ-ზე მეტ ადამიანს (ზუსტად 3 133,5 ათ).[4] ცნობა ნებას რთავს ისარგებლოს რიგი დახმარებებით (განსაზღვრული პირობების შესრულების შემდეგ) (დამოკიდებულია შეზღუდულობის სხვადასხვა ხარისხზე), რომლებსაც განეკუთვნება:

- **პროფესიული რეაბილიტაციის და დასაქმების** (ჩვენთვის საინტერესო) **ფარგლები** – სათანადო დასაქმების მოპოვების შესაძლებლობა (ამაში პროფესიული აქტიურობის დაწესებულებებში და დაცული შრომის დაწესებულებებში), სწავლებებში მონაწილეობის მიღების საშუალება (სპეციალური სწავლებების ჩათვლით), ზუსტად განსაზღვრულ სამუშაო პრივილეგიებით სარგებლობა (სხვათა შორის, დამატებითი დასვენებითი შვებულების უფლება, სამსახურში ხანგრძლივი შესვენებები, ხანმოკლე სამუშაო დრო), ეკონომიკური ან სოფლის-მეურნეობის მეწარმეობის მხარდაჭერის შესაძლებლობა;

- სოციალური რეაბილიტაციის ფარგლები – ოკუპაციურ თერაპიაში მონაწილეობის საშუალება, რომელიც განხორციელებულია ოკუპაციური თერაპიის სემინარებზე და სარეაბილიტაციო სანატორიუმებში მონაწილეობის შესაძლებლობა;

- ორთოპედული საგნებით მომარაგების დაფინანსება, დამხმარე სახსრები და ტექნიკური დახმარებები, რომლებიც გაუადვილებენ მოცემულ პირს ფუნქციონირებას;

- შეღავათები გადასახადებებში, ფასდაკლებები სატრანსპორტო კომუნიკაციაში, რადიო-სატელევიზიო გადასახადებიდან (აბონამენტისგან) გათავისუფლება;

- სოციალური დახმარების დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა ცენტრების მიერ გაწეული სოციალური, მზრუნველობითი, თერაპევტული და სარეაბილიტაციო მომსახურებები;

- მოვლითი დახმარების და სხვა საოჯახო დახმარებების (მაგ. შეზღუდულობასთან დაკავშირებულ საოჯახო დახმარებებზე დამატებები) და სოციალური დახმარებიდან მუდმივი დახმარების მიღება.

კანონის თანახმად, შშმ პირთა რეაბილიტაცია ნიშნავს რიგ მოქმედებებს, განსაკუთრებით ორგანზაციულ, სამკურნალო, ფსიქოლოგიურ, ტექნიკურ, სასწავლო, საგანმანათლებლო, და სოციალურს, რომელთა მიზანია მიაღწიონ, ამ პირთა აქტიური მონაწილეობის თანხლებით, მათ ფუნქციონირების, ცხოვრების დონის, და სოციალური ინტეგრაციის რაც შეიძლება უმაღლეს დონე. ეს განხორციელებულია კომპლექსური რეაბილიტაციის ფარგლებში, რომელსაც ემატება სამკურნალო (განხორციელებული ცალკეული კანონების

[4] http://www.niepelnosprawni.gov.pl/niepelnosprawnosc-w-liczbach-/dane-demograficzne/

საფუძველზე და დაფინანსებული სხვადასხვა წყაროებიდან), პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია.

პროფესიული რეაბილიტაციის მიზანია, კანონის თანახმად, გაუადვილოს შშმ პირს სათანადო დასაქმების მოპოვება და შენარჩუნება და პროფესიული წინსვლა პროფესიული კონსულტაციით, პროფესიული სწავლებებით და სამუშაო შუამავლობით სარგებლობის საშუალებით. მიზნის განსახორციელებლად, კანონში განსაზღვრულია როგორც აუცილებელი:

1. შრომისადმი უნარიანობის შეფასება, განსაკუთრებით შემდეგი საშუალებებით:
    a. სამედიცინო და ფსიქოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, რომლებიც სამუშაოს შესასრულებლად ფიზიკური, ფსიქიური და გონებრივი გამართულობის განსაზღვრის და ამ უნარიანობების გაზრდის შეფასების საშუალებას იძლევიან,
    b. კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, ნიჭის და დაინტერესებების დადგენა;
2. პროფესიული კონსულტაციის ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს სამსახურისადმი უნარიანობის შეფასებას და საშუალებას მისცემს შესაბამისი პროფესიის და სწავლებების შერჩევას;
3. პროფესიული მომზადება დასაქმების პერსპექტივის გათვლისწინებით;
4. შესაბამისი სამუშაო ადგილის შერჩევა და მისი მოწყობა;
5. ტექნიკური სახსრების განსაზღვრა, რომლებიც სამსახურის შესრულების ან გაადვილების საშუალებას იძლევა, საჭირობისამებრ კი - ორთოპედური საგნების, დამხარე სახსრების, სარეაბილიტაციო აპარატურისა და ა.შ.

სოციალური რეაბილიტაციის მიზანია საშუალება მისცეს შშმ პირებს მონაწილეობა მიიღონ საზოგდოებრივ ცხოვრებაში და განხორციელებულია:

1. შშმ პირის პირადული სიმარჯვის გამომუშავებით და სოციალური გააქტიურების გაღვივებით,
2. სოციალური პოზიციების დამოუკიდებლად შესრულების უნარიანობის გამომუშავებით, არქიტექტურული, ურბანისტული, სატრასპორტო, ურთიერთობაში და ინფორმაციის ხელმიწვდომობაში ტექნიკური ბარიერების დარღვევით:
3. საზოგადოებაში სათანადო, შშმ პირებთან ინტეგრაციის ხელშემწყობი მიდგომის და ჩვევების ჩამოყალიბებით.

რომ არ შევეხოთ სოციალური რეაბილიტაციის პრობლემატიკის მეტად, უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს არის, კომპლექსური რეაბილიტაციის ფარგლებში, აუცილებელი ელემენტი რომელიც მხოლოდ ჰქმნის ეფექტური, პროფესიული რეაბილიტაციის შესაძლებლობას. შშმ პირების პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის პროცესის მხარდამჭერ აქტიურობის ძირითად ფორმებად, კანონის თანახმად, ითვლება ამ პირების მონაწილეობა სხვათა შორის:

1) ოკუპაციური თერაპიის სემინარებში, შემდგომ ნახსენები როგორც „სემინარები“;

ეს მოქმედებები თანადაფინანსებულია PFRON-ის სახსრებიდან და დამატებით იქნება განხილული ამ მასალის შემდგომ ნაწილში.

შშმ პირების პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის მხარდაჭერა და გააქტიურება შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის ძირითადი მისიაა. წესდების თანახმად, ფონდის[5] მიზანია შშმ პირების პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციაზე ფინანსური სახსრების დაგროვება, რომლებიც ნახსენებია კანონში და ამ სახსრების განაწილება.

აქ უნდ ნათლად აღვიშნოთ, რომ PFRON-ის სახსრებიდან ორგანიზებული და დაფინანსებული მოქმედებები არ არის მარტო ერთადერთი მოქმედებები და საზოგადოებრივი გააქტიურების დაფინანსების ერთადერთი წყარო შშ პირთა პროფესიული რეაბილიტაციის და დასაქმების სფეროში, რომლებიც განხორიცელებულია პოლონურ იურიდიულ სისტემაში. PFRON-ის ფინანსური სახსრების ნაწილი – უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური შშმ პირების მხარდამჭერი - განაწილებულია პოვიატის და სავოევოდოს თვითმმართველობის ერთეულების მიერ - უმთავრესად სოციალური დახმარების ცენტრების და შრომის უწყებების მიერ. განსაკუთრებით, ამ ფარგლებში რიგი ამოცანები განხორცილებულია შრომის უწყებების სისტემის მიერ და დაფინანსებულია როგორც PFRON-ის სახსრებიდან, აგრეთვე შრომის ფონდის სახსრებიდან (უმუშევარი შშმ პირების დახმარების ფარგლებში), თვითმმართველობის საკუთარი სახსრებიდან და ევროკავშირის ფონდის სახსრებიდან. მსგავს მნიშვნელოვან როლს ამ ფარგლებში პოლონეთში თამაშობს არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ ნაშრომში განხილული იქნება ამ ორგანიზაციების ამოცანები მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ისინი დაფინანსებულია PFRON-ის სახსრებიდან.

PFRON-ის მიერ დასაქმების მხარდაჭერაზე ლაპარაკისას უნდა ყურადღება გავამახვილოთ მასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სისტემურ შეზღუდვაზე. ეს არის PFRON-ის შესახებ დისკუსიაში ნახსენები ე.წ. ***„წარმატების პარადოქსი“*** . PFRON-ის დაფინანსების მთავარი წყაროა (იხ. ქვ. ცხრილი) იმ დამსაქმებლების ანარიცხები, რომლებიც არ ასაქმებენ შშმ პირების საკმარის რაოდენობას. ამ გზით მოგროვილი ფული (უმეტეს წილად) გადაცემულია იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ასაქმებენ შშმ პირებს. მაშასადამე, რაც უფრო მეტ შშმ პირებს ასაქმებს დამსაქმებელი (მათ შორის PFRON-ის საქმიანობის და დაფინანსების საშუალებით), მით უფრო ნაკლებ თანხას გადასცემს რის გამო PFRON-ს აქვს უფრო მეტი ხარჯები.

თუ ვისაუბრებთ სავალდებული ანარიცხებზე PFRON-ში, უნდა აღვნიშნოთ, რომ შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერის ერთერთი ფორმაა ამ ანარიცხების გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლება.[6] PFRON-ში ანარიცხების შეტანისგან გათავისუფლები არიან:

[5] http://www.pfron.org.pl/bip/status-prawny-pfron/3,Status-prawny-PFRON.html
[6] http://www.niepelnosprawni.gov.pl/prawo/rozporzadzenia/

- დამსაქმებლები, რომლების შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს არანაკლებ 6%;
- საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციული ერთეულები, რომლებიც არ მოქმედებენ მოგების მიზნით და რომლების მოქმედების საგანია მხოლოდ შშმ პირთა სოციალური და სამკურნალო რეაბილიტაცია, განათლება ან მათზე მზრუნველობა;
- სახელმწიფო და არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები, პროფესიული უმაღლესი სასწავლებლები, საჯარო და არასაჯარო სკოლები, მასწავლებლების სასწავლო დაწესებულებები და აღმზრდელობით-მზრუნველობითი და რესოციალიზაციის ცენტრები, რომლებშიც შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 2% (ამ შემთხვევაში მაჩვენებელი შეადგენს შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებლების და შშმ აღზრდილების, მოსწავლეების, სტუდენტების ან მსმენელების და ამ ერთეულში სწავლის მოქმედი წესების თანახმად მოსწავლე პირების ორმაგი მაჩვენებლის ჯამი);

დამსაქმებლებს შეუძლიათ შშმ პირთა დასაქმების სავალდებულო მაჩვენებლის დაწევა, თუ დაასაქმებენ შშმ პირს, რომელსაც დაავადება განსაკუთრებით უშლის სამუშაოს შესრულებაში: პარკინსონის დაავადება, გაფანტული სკლეროზი, პარაპლეგია, ტეტრაპლეგია, ჰემიპლეგია, მხედველობის მნიშვნელოვანი დაქვეითება (სიბრმავე) და ამბლიოპია, სიყრუე და ყრუ-მუნჯობა, HIV ვირუსის და AIDS-ის ავადმყოფობა, ეპილეფსია, ქრონიკული ფსიქიკური დაავადებები, გონებრივი ჩამორჩენილობა, მიასთენია, დიაბეტის მოგვიანებითი გართულებები.

2011 წლის 1 იანვრიდან, ფონდში ანარიცხები იყო დაწეული მომსახურების შესყიდვისას, ვაჭრობის ან იმ დამსაქმებლის პროდუქციის გარდა, რომელიც ასაქმებს არანაკლებ 25 მუშაკს მთლიან შტატზე და აღწევს ისეთი შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელს, რომლებიც:

- მნიშვნელოვანი ხარისხის შეზღუდულობის მქონე შშმ პირები არიან ან
- უსინათლო, ფსიქიურად დაავადებული ან გონებრივად ჩამორჩენილები არიან ან
- მთლიანად განვითარების დარღვევების ან ეპილეფსიის მქონე პირები
- ზომიერი შეზღუდულობის მქონე პირები,
- არანაკლებ 30%-ია.

ეს იმდენადვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ასაქმებენ შეზღუდულობით ყველაზე მეტად შეხებულ პირებს (მათში განსაკუთრებით შშმ პირთა კოოპერატივებს), რამდენადაც გაკრიტიკებულია სხვა დამსაქმებლების მიერ რადგან ჰქმნის მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობებს.

‘კარგი პრაქტიკა’ მაგალითი – როგორ იკეთებენ რეკლამას ზემოთხსენებული უფლებამოსილების მფლობელები.

ინვალიდების კოოპერატივს WULKAN ოლშტინში გააჩნია უფლებამოსილება PFRON-ის ანარიცხებში შეღავათების გაცემისა პატარა და საშუალო ფირმებისთვის დასუფთავების, დაცვის, სამუშაო ტანსაცმლის დამზადებაში და კომპიუტერული მოქარგვის მომსახურების გაყიდვაში. ბოლო 12 თვის განმავლობაში შეღავათების მაჩვენებელი ჩამოყალიბდა ოდენობით;

65 - 85%

როგორ იყო ნახსენები ზემოთ, მოქმედებები ინდივიდუალური შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციის და დასაქმების მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებულია თვითმმართველობის დაწესებულებების შუამავლობით, პირველ რიგში შრომის უწყებების და სოციალური დახმარების ცენტრებისა. პოვიატების და სავოევოდო თვითმმართველობისთვის, PFRON-ის სახსრები კანონიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებაზე განაწილებულია მოცემული რეგიონის სიდიდისა და მასში მაცხოვრებელი შშმ პირთა გამათვალისწინებელი ალგორითმის მიხედვით (შშმ პირთა რაოდენობის შესახებ მონაცემები გამომდინარეობს GUS-ის უახლესი საყოველთაო აღწერიდან) - ამ საკითხს არეგულირებს მინისტრთა საბჭოს განკარგულება. მაგალითად, 2014 წელს ამ მიზანზე განკუთვნილი თანხა შეადგენდა PFRON-ის მთლიანი ბიუჯეტის დაახ. 20%. თითოეული თვითმმართველოები თვითონ განსაზღვრავენ ამოცანებს ცალკე დადგენილებაში და გადაწყვეტენ იმ თანხების სიდიდეს, რომლებსაც გამოყოფენ მაგ. რეაბილიტაციის შესახებ კანონში ნახსენები სარეაბილიტაციო სანატორიუმების, აპარატურის და შშმ პირების მხარდაჭერის სხვა ფორმების დაფინანსებაზე. 2013 წელს თვითმმართველოებმა, პროფესიული რეაბილიტაციის ფარგლებში ამოცანების განხორციელებაზე გამოყვეს მიღებული თანხის 10%. 90% განკუთვნილი იყო სოციალურ რეაბილიტაციაზე, მაშასადამე უმეტესი ნაწილი, რადგან 55% - ოკუპაციური თერაპიის სემინარების დაფინანსებაზე.[7]

პროფესიული რეაბილიტაციის ფარგლებში, თვითმართველოებები ინდივიდუალურ შშმ პირებს ემსახურებია პირველ რიგში შრომის უწყებების შუამავლობით, რომლებიც დახმარებას უწევენ ფარგლებში:

- შუამავლობა სამსახურის საკითხში,
- პროფესიული კონსულტაცია,
- სწავლებები,
- სტაჟი,

[7] http://www.pfron.org.pl/bip/budzet-funduszu

- ინტერვენციული სამუშაოები,
- ერთჯერადი სახსრები ეკონომიკური ან სასოფლო საქმიანობის დასაწყებად ან სოციალრ კოოპერატივში ანარიცხის შესატანად,
- შშმ პირის სამუშაო ადგილის აღჭურვილობის ხარჯების ანაზღაურება,

შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციის ფარგლებში, პოვიატის შრომის უწყება უწევს დახმარებას უმუშევარ ან სამსახურის მაძიებელ პირებს შესაბამისი დასაქმების მოპოვებაში, სათანადო პროფესიის და დასაქმების ადგილის არჩევაში, დასაქმების დაწყების და ძიების დაძლევის მომზადებაში. დაინტერესებული პირებისთვის ატარებს შუამავლობას, სათანადო სამსახურის უზრუნველყოფის საშუალების უქონლობისას, უწევს პროფესიულ შუამავლობას და უზრუნველყოფს პროფესიულ ინფრომაციას, წამოიწყებს, ორგანიზებს და აფინანსებს სწავლებებს, სტაჟირებას, მოზრდილი ადამიანებისთვის პროფესიულ მომზადებას და მიანიჭებს და უხდის სტიპენდიებს, აყალიბებს და თანააფინანსებს დამატებითი ადგილების შექმნას და შრომის ბაზრის სხვა ინსტრუმენტებს. უწყება მიანიჭებს აგრეთვე და უხდის დახმარების სახსრებს და სხვა თანხებს უმუშევრობის უმუშევრობის საფუძველზე. შშმ პირები სარგებლობენ სამსახურის შუამავლობით, პროფესიული კონსულტაციებით და სწავლებებით, გადაკვალიფიცირებით 2004 წ. 20 აპრილის, დასაქმების და სამუშაო ბაზრის დაწესებულებების შესახებ კანონში განსაზღვრულ წესებზე (ერთიანი ტექსტი საკანონ. მაცნე 2013 წ. პოზ. 674. ცვლილებებით).[8] სამსახურის დაწყებისთვის მზად პირად ითვლება შშმ პირი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა დასაქმების დაწყების საშუალებას იძლევა მოცემული პროფესიის ან სამსახურისთვის არსებულ არანაკლებ ნახევარ შტატზე. შშმ პირს შეიძლება გააჩნდეს უმუშევრის სტატუსი ან სამსახურის მაძიებლის სტატუსი. შშმ პირის მიერ უმუშევრის სტატუსის მოპოვებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი მხრივ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც დასაქმების საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ კი იმ გარემოებებს, მიენიჭა თუ არა მას დახმარების სახსრები სამუშაოს დაწყების შეუძლებლობის გამო. დახმარების უფლების მინიჭება გამორიცხავს უმუშევრად დარეგისტრირების საშუალებას. მოცემულ პირს შეუძლია ამ შემთხვევაში დარეგისტრირდეს როგორც სამუშაოს მაძიებელი. ინსტრუმენტებზე და შრომის ბაზრის მომსახურებზე ხარჯები დაფინანსებულია ასეთ შშმ პირთა ფარგლებში, როგორებიცაა:

- უმუშევარი - შრომის ფონდის სახსრებიდან და დამატებით შშმ პირთათვის (რაც ასხვავებს მათ სიტუაციას სხვა შრომის უწყებაში კანდიდატებისგან)

- სამსახურის დაუსაქმებელი მაძიებლები - შშმ პირთა რეაბილიტაცის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან - რაც აღწერილია ქვემოთ

დახმარების შემოთავაზებული ფორმებს შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შშმ პირთა სწავლებების დაფინანსების ფართო (ეხება როგორც უმუშევრებს და აგრეთვე სამსახურის მაძიებლებს) შესაძლებლობები. ეს არის იმით მნიშვნელოვანი, როგორც რიგი სწავლებებისა გვიჩვენებს, რომ შშმ პირთა დასაქმებაში ერთერთი ძირითადი ბარიერი არის განათლებისადმი

[8] http://psz.praca.gov.pl/rynek-pracy/akty-prawne

ხელმიუწვდომლობა.[9] სწავლება ორგანიზებულია შრომის უწყებების მიერ, ინდივიდუალურ შშმ პირებისთვის გაწეული დახმარების ფარგლებში და არ არის სწავლებების ერთადერთი ფორმა. შესაძლებელია აგრეთვე სწავლებები დამსაქმებლის მოთხოვნით და სწავლებების და განათლების დაფინანსება PFRON-ის მიერ, დავალებული ამოცანების და მრავალრიცხოვანი პროგრამების ფარგლებში (იხ ქვემოთ).

დასაქმების მხადაჭერის უდიდესი პროგრამა, განხორციელებული-დაფინანსებული PFRON-ის მიერ, არის **შშმ პირთა ხელფასების დაფინანსება.**[10] ამ მიზანზე ხარჯები 2014 წელს დაგეგმილია როგორც PFRON-ის მთლიანი ხარჯების დაახ. 62%.

შშმ პირის დამსაქმებელს ეკუთვნის შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდიდან (PFRON) ყოველთვიური დაფინანსება შშმ პირის ხელფაზე, თუ ეს პირი აღრიცხული გახლდათ PFRON-ის დასაქმებულების სიაში. დამსაქმებელს შეუძლია მოიპოვოს დაფინანსება შშმ პირთა ხელფასზე, რომლებიც დასაქმებულია სამუშაო ხელშეკრულებით, დაცული შრომის დაწესებულების მქონე დამსაქმებელს კი, აგრეთვე სამუშაოს სახლში შემსრულებელი შშმ პირთათვის - თუ მათი ხელფასი არანაკლებ მინიმალური ხელფასის ტოლია - ეხება იმ მუშაკების, რომელთათვის სამუშაოს სახლში შესრულება არის ერთადერთი სარჩენი წყარო, მინიმალური ხელფასის ნახევრის ტოლია - ეხება დანარჩენ მუშაკებს, რომლებიც არიან შშმ პირები, შშმ პირთა პროფესიულ და სოციალური რეაბილიტაცის კანონის გაგებით (ამ პირების მიერ შეზღუდულობის ხარისხის შესახებ ცნობის დროულად წარდგენის შემდეგ). დახმარების მიღებაზე უფლებამოსილები არიან:

- სრულ შტატზე გადათვლით, 25 პირზე ნაკლები დამსაქმებელი დამსაქმებლები,
- სრულ შტატზე გადათვლით, 25 პირზე ნაკლები დამსაქმებელი დამსაქმებლები, რომელიც აღწევს შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებლის 6 %,
- დაცული შრომის დაწესებულების მქონე დამსაქმებლები

ამჟამად 2014 წელს, შშმ პირის ხელფასზე თვიური დაფინანსება განკუთვნილია თანხით:

1) 1800 ზლ - მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონე პირთა შემთხვევაში;
2) 1125 ზლ - ზომიერი შეზღუდულობის მქონე პირთა შემთხვევაში;
3) 450 ზლ - მსუბუქი შეზღუდულობის მქონე პირთა შემთხვევაში.

თანხები, რომლებიც ნახსენებია ზემოთ, იზრდება 600 ზლოტით იმ შშმ პირთა შემთხვევაში, რომლებსაც დაუდგინდათ ფსიქიური დაავადება, გონებრივი ჩამორჩენილობა, განვითარების სრული დარღვევა ან ეპილეფსია და

[9] http://poradnik.ngo.pl/x/561991?ci=podstrona_komentarze&resid=561991&state=am
[10] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/dofinansowanie-do-wynagrodzen-os/

უსინათლოების შემთხვევაში. **შედარებისთვის, 2014 წელს მინიმალური ხელფასი პოლონეთში შეადგენდა 1680 ზლოტი.**[11]

რადგან პოლონეთი არის ევროკავშირის წევრი, შშმ პირების ხელფასებზე დაფინანსება PFRON-ის სახსრებიდან, რომლებიც მინიჭებულია ეკონომიკური საქმიანობის მქონე დამსაქმებლისთვის, არის საჯარო დახმარება შშმ მუშაკების დასაქმებაზე, (ევროკავშირის) კომისიის, 2008 წ. 6 აგვისტოს, განკარგულების № 800/2008 გაგებით, რომელიც აღიარებს დახმარების ზოგიერთ სახეობას საერთო ბაზრის თანახმად, ტრაქტატის სტატიების 87 და 88 გამოყენებით (ბლოკური გამორიცხვების საკითხში საყოველთაო განკარგულება) (საკანონ. მაცნე WE L 214, 09.08.2008, გვ. 3)

ყოველთვიური დაფინანსების თანხამ არ შეიძლება გადააჭარბოს ყოველთვიურად ფაქტიური და დროებითი ხელფასის ხარჯების 90%-ს, ეკონომიკური საქმიანობის მქონე დამსაქმებლის შემთხვევაში კი, საჯარო დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ კანონის გაგებით, ამ ხარჯების 75%-ს.

თუ ახალი შშმ მუშაკების დასაქმება მოცემულ თვეში, ეკონომიკური საქმიანობის მქონე დამსაქმებელთან, არ გამოიწვევს ამ დამსაქმებელთან შშმ მუშაკების დასაქმების გაზრდას netto, მაშინ თვიური დაფინანსება ახალ დასაქმებულ შშმ მუშაკს არ ეკუთვნის, თუ მისი დასაქმება მოხდა სხვა მუშაკთან ხელშეკრულების დარღვევის შედეგად,

PFRON-ის მიერ მართულ დაფინანსებებისა და რეფუნდაციის მომსახურების სისტემაში(SODIR), 2013 წელს დეკემბრის ბოლოს, დარეგისტრირებული იყო 251,5 შშმ პირი, მათში 84,4 ათ. პირი დასაქმებული იყო შრომის ღია ბაზარზე და 166,8 ათ. პირი მომუშავე დაცული შრომის დაწესებულებაში.[12]

'კარგი პრაქტიკის' მაგალითი - შშმ პირების გარემოსთვის ასოციაცია EKON არის საზოგადოებრივი ფირმა, რომლის მიზანია პროფესიული გააქტიურება და სამუშაო ადგილების შექმნა შშმ პირთათვის. დაფინანსების მომსახურების სისტემის ერთერთი უდიდესი ბენეფიციარია. დაარსდა 2003 წელს, შშმ პირების და ეკოლოგიით და გარემოს დაცვით დაიტერესებული პირების საერთო ინიციატივის შედეგად. დამფუძნებლებმა დაისახეს მიზანი შექმნათ საზოგადოებრივი ფირმა, რომელიც შექმნიდა სამუშაო ადგილებს განსაკურებით უკიდურესად გამორიცხვის საფრთხეში მყოფ ფსიქიურად დაავადებულ და ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირთა ჯგუფისთვის. მოქმედების სფეროდ მიღებული იქნა გარემოს დაცვა (შეფუთვების ნარჩენების სელექტიური შეგროვება და სეგრეგაცია). ამ გზით დღემდე შესაძლებელი გახდა 400 ახალი ე.წ. მწვანე სამუშაო ადგილების შექმნა მნიშვნელოვანი და ზომიერი შეზღუდულობის მქონე პირებისათვის, რომელთაგანაც თითქმის 200 იყო ფსიქიურად დაავადებული. საზოგადოებიდან გამორიცხვი საფრთხეში მყოფი პირებისთვის სამუშაო ადგილების შემქმნელი ხასიათის მქონე EKON-ის საზოგადოების საქმიანობა განასხვავებს მას სხვა ტრადიციული ინიციატივებისგან, რომლებიც დაწყებულია არასამთავრობო

[11] http://www.infor.pl/prawo/zarobki/wysokosc-zarobkow/323032,Minimalne-wynagrodzenie-za-prace-w-2014-r.html

[12] http://www.niepelnosprawni.gov.pl/niepelnosprawnosc-w-liczbach-/rynek-pracy/

ორგანიზაციების მიერ და ეყრდნობა მხოლოდ ამ პირების სასარგებლოდ მოქმედებაზე მათი პასიური მონაწილეობით. საზოგადოება EKON ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, მოქმედი როგორც საზოგადოებრივი ფირმა. მთლიანი გამომუშავებული მოგება განკუთვნილია მხოლოდ ორგანიზაციის საწესდებო მიზნებზე.

MOL sp. z o.o. (შპს) – დაარსებული 1991 წელს, ინფორმატიკული ფირმა, მთავარი ოფისი გდინიაში, აწარმოებს პროგრამებს ბიბლიოთეკებისთვის. ფირმამ MOL Sp. z o.o გაიმარჯვა კონკურსში LODOŁAMACZE კატეგორიაში 'ღია შრომის ბაზარი' ზომიერი შეზღუდულობის მქონე პირების დასაქმების შედარებით მაღალი (სხვა დამსაქმებლებთან შედარებით) პროცენტის გამო, აგრეთვე მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონე პირების სამუშაოს მოძებნაში დახმარების გამო. აღიარებას იმსახურებს სამუშაო დაწესებულების შშმ პირთა მოთხოვნილებებთან შეთავსების ფაქტი, მათ შორის, ფირმაში ერთი კონდიგნაციის არსებობა, კარების სათანადო სიგანე, რომელშიც ინვალიდის ეტლი ეტევა, სამზარეულოში მაგიდის სიმაღლის დაწევა, საპირფარეშოებში და აბაზანებში სპეციალური მოაჯირები, ადგილების გამოყოფა პარკინგზე. უნდა დაფასდეს აგრეთვე შშმ პირთა თანაბარი მოპყრობა როგორც ჯანმრთელი ადამიანებისა, და მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების საშუალება სწავლებების მეშვეობით, ფარგლებში: ინტერნეტული გაყიდვა, კომპიუტერული გრაფიკა, ინტერნეტული მარკეტინგი და საზოგადოებრივი მედიები.

შშმ პირთა დასაქმების ხარჯების დაფინანსებაზე დამატებები არ არის ფინანსური მხადაჭერის ერთადერთი საშუალება, რომელიც შეიძლება მიიღონ დამსაქმებლებმა PFRON-ის სახსრებიდან.

დამსაქმებელს, რომელიც დაასაქმებს შშმ პირს არანაკლებ 36 თვის პერიოდით, შეუძლია მიიღოს შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან **ხარჯების ანაზღაურება[13]:**

- დაწესებულების ოთახების ადაპტირებაზე შშმ პირთა მოთხოვნილებებთან, განსაკუთრებით ამ პირებისთვის შექმნილი ან არსებული სამუშაო ადგილების შეთავსებასთან, შესაბამისად მათი შეზღუდულობიდან გამომდინარე მოთხოვნილებებთან, დაკავშირებით გაღებული ხარჯებისა;
- შშმ პირისთვის სამუშაოს შესრულების ან სამუშაო დაწესებულებაში ფუნქიონირების გამაადვილებელი მოწყობილებების ადაპტირებაზე ან შეძენაზე;
- შშმ მუშაკების მიერ გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფის და მათი შეზღუდულობიდან გამომდინარე მოთხოვნილებებთან შეთავსებული ან დამხმარე ტექნოლოგიური მოწყობილებების შეძენაზე და ავტორიზაციაზე;
- სამედიცინო სამსახურების მიერ ზემოთხსენებული მოთხოვნილებების გარკვევაზე.

ხარჯების ანაზღაურება ეხება შშმ პირებს:

[13] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/zwrot-kosztow-przystosowania-sta/

- უმუშევარ ან დაუსაქმებელ სამსახურის მაძიებელ პირებს, რომლების ეძებენ სამსახურს პოვიატის შრომის უწყების მეშვეობით;
- ხარჯების ანაზღაურების მიმღებ დამსაქმებელთან დასაქმებული პირებს, მაგრამ ეხება მხოლოდ იმ პირებს, რომელთა შეზღუდულობა წარმოიქმნა ამ დამსაქმებელთან დასაქმების პერიოდში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შეზღუდულობის გაჩენის მიზეზი დამსაქმებლის ბრალი ან მუშაკის მიერ წესების დარღვევა იყო, მათში შრომის წესებისა.

ერთი სამუშაო ადგილის შეთავსებაზე დამხარების მაქსიმალური თანხა შეადგენს ოცმაგ ჩვეულებირვ ხელფასს (ე.ი. ჩვეულებრივი თვიური ხელფასისა, ეროვნულ ეკონომიკაში წინა კვარტალში, მთავარი სტატისტიკური უწყების თავმჯდომარის მიერ გამოცხადების შემდეგ პირველ დღეს) შშმ პირის ყოველი სამუშაო ადგილის შეთავსებისთვის.

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან დასაქმებულ შშმ პირთა სამუშაო ადგილის მოწყობის ხარჯების ანაზღაურება.[14]

სამუშაო ადგილის მოწყობის ხარჯების ანაზღაურების მიღებას შეიძლება შეეცადოს დამსაქმებელი, რომელსაც:

- აქვს ფირმა არანაკლებ 12 თვე;
- რომელიც, 36 თვის განმავლობაში დაასაქმებს პოვიატის შრომის უწყებაში უმუშევრად ან უმუშევარი სამსახურის მაძიებელად დარეგისტრირებულ შშმ პირს.

დამსაქმებელი არის ორგანიზაციული ერთეული, თუნდაც არ ჰქონდეს იურიდიული ხასიათი, აგრეთვე ფიზიკური პირი, თუ ასაქმებს მუშაკებს (დასაქმებული პირები ხელშეკრულების, კოოპერატიული ხელშეკრულების, დანიშვნის, დაწესების ან არჩევნის საფუძველზე). ერთი სამუშაო ადგილის შეთავსებაზე დახმარების მაქსიმალური თანხა შეადგენს თხუთმეტმაგ ჩვეულებრივ ხელფასს(ე.ი. ჩვეულებრივი თვიური ხელფასისა, ეროვნულ ეკონომიკაში წინა კვარტალში, მთავარი სტატისტიკური უწყების თავმჯდომარის მიერ გამოცხადების შემდეგ პირველ დღეს).

დამსაქმებელს, რომელიც ასაქმებს შშმ პირებს, შეუძლია მოუწყოს მათ სწვლება, მასზე გაცემული ხარჯები კი შეიძლება იყოს ანაზღაურებული შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფოego ფონდის სახსრებიდან.[15] ანაზღაურების თანხა შეიძლება შეადგენდეს დახარჯული ხარჯების 80% , მაგრამ არაუმეტეს ორმაგი ჩვეულებრივი თვიური ხელფასისა, ეროვნულ ეკონომიკაში წინა კვარტალში,

[14] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/zwrot-kosztow-wyposazenia-stanow/
[15] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/zwrot-kosztow-szkolenia-pracowni/

მთავარი სტატისტიკური უწყების თავმჯდომარის მიერ გამოცხადების შემდეგ შემდეგი თვის პირველ დღეს) ყოველ პირზე.

სწავლების სახეობა	დამსაქმებლის ტიპი		
	პატარა	საშუალო	დიდი
საერთოდ	80%	80%	70%
სპეციალიზირებული	55 %	45 %	35%

ანაზღაურება მოიცავს დამსაქმებლის მიერ გაცემულ შემდგომ ხარჯებს:

1) სწავლებების წამყვანი პირების ხელფასი;
2) ჟესტების ენის თარჯიმნის ან უსინათლოების ლექტორისთვის ან მნიშვნელოვანი ხარისხის შეზღუდულობის მქონე მოძრაობაში შეზღუდული დასაქმებული პირის მომვლელის ხელფასი;
3) სწავლების წამყვან პირთა და მონაწილეთა მგზავრობის ხარჯები;
4) მგზავრობის გიდის ან დასაქმებული მნიშვნელოვანი ხარისხის შეზღუდულობის მქონე შშმ პირის მომვლელის ხარჯები;
5) სწავლების წამყვან პირთა და მონაწილეთა და ჟესტების ენის თარჯიმნის ან უსინათლოების ლექტორისთვის საცხოვრებელი და კვების ხარჯები;
6) მოცემულ სწავლებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები;
7) ადმინისტრატიულ-საოფისე მომსახურების ხარჯები, რომლებიც შეადგენენ სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებს;
8) სწავლების განხორციელებასთან დაკავშირებული ოთახების დაქირავების ხარჯები;
9) ინსტრუმენტების და მოწყობილობების ამორტიზაციის ხარჯები, იმ ფარგლებში, რომლებშიც არის დახარჯული სწავლების მოთხოვნილებისამებრ, საჯარო სახსრებიდან, მხარდაჭერის ფარგლებში, სწავლების განხორციელებამდე შვიდი წლით ადრე შეძენილი ინსტრუმენტების და მოწყობილობების გარდა;
10) სასწავლო მასალების ხარჯები.

ანაზღაურების ფარგლებში, დამსაქმებელს შეუძლია მიიღოს სახსრები მუშაკის დასაქმების ხარჯების დასაფარავად, რომლებსაც ხარჯავს მუშაკის სწავლებაში მონაწილეობის პერიოდში. ადმინისტრაციული-საოფისე მომსახურების და ფართის დაქირავების (პუნქ. 7 და 8) ხარჯების და მუშაკის დასაქმების მომცველი ხარჯების საერთო თანხამ, რომელსაც ხარჯავს დამსაქმებელი მუშაკის სწავლებაში მონაწილეობის პერიოდში, არ უნდა გადააჭარბოს 1-6, 9 და 10 პუნქტებში ჩამოთვლილ ხარჯების საერთო თანხას. როგროც სჩანს ზემოთნახსენებულ კატალოგში არის ფართო და ამასობაში ძალიან მოხერხებული და შშმ მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაში დამხმარე ელასტიური ინსტრუმენტი.

დამსაქმებელს, რომელიც ასაქმებს შშმ მუშაკს, შეუძლია შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის (PFRON) სახსრებიდან მიიღოს ყოველთვიური ანზღაურება შშმ მუშაკის გარემოსთან ურთიერთობაში დამხმარე სხვა მუშაკის ხელფასზე, აგრეთვე რომელიც ეხმარება სამუშაო ადგილზე შშმ პირის მიერ დამოუკიდებლად შესასრულებლად შეუძლებელ და რთულ მოქმედებებში.[16] ანაზღაურების თანხა დადგინდება შშმ პირებისთვის დახმარებაზე განკუთვნილი საათების რაოდენობის გაყოფით შშმ პირთა მუშაობის საათების რაოდენობაზე მოცემულ თვეს და მიღებული განაყოფი გამრავლებული მინიმალური ხელფასის თანხაზე. შშმ მუშაკისთვის დახმარებაზე განკუთვნილი საათების რაოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს მუშაკების მუშაობის საათების რაოდენობის 20%-ის თვეში. კანონი არ აკრძალავს, რომ შშმ მუშაკის დამხმარე პირი იყოს სხვა შშმ პირი. მარგამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ შშმ მუშაკის დამხმარე შშმ პირს არ უნდა ჰქონდეს პრობლემები იმ მოქმედებების შესრულებაში, რომლის ფარგლებში ეხმარება შშმ მუშაკს. შშმ პირის მუშაობაში დამხმარე მუშაკის დასაქმების ხარჯების ანაზღაურება შეიძლება შეეხოს აგრეთვე სიტუაციას, სადაც როგორც შშ პირი, აგრეთვე დამხმარე პირი, მუშაობენ მოცემულ სფეროში დიდი ხანი, შშმ მუშაკის მიერ დაკავებული პოზიცია და ვალდებულებების საზღვრები კი არ იყო შეცვლილი. ესეთი სიტუაცია შეიძლება გაჩნდეს მაშინ, თუ გაუარესდა შშმ მუშაკის ჯანმრთელობის მდგომარეობა და აქედან გამომდინარე საჭირო გახდება არსებულ სამუშაო ადგილზე მოქმედებების შესრულებაში დახმარება.

‘კარგი პრაქტიკის’ მაგალითი - ‘დრამატული თეატრი შშმ პირთათვის’ ვარშავის დრამატული თეატრი ეს არის ერთერთი მთავარი პოლონური თეატრი. – LODOŁAMACZY-ის ლაურეატი. თეატრის დირექტორებს შორის იყო ბევრი გამოჩენილი შემოქმედი, მათ შორის: იან შვიდერსკი, გუსტავ ჰოლოუბეკ, ზბიგნიევ ზაპაშიევიჩი. თეატრი მრავალი წლებია ასაქმებს შეზღუდულობის მქონე პირებს, აქტიურად ჩართულია პროექტში ‘კულტურა ბარიერების გარეშე’, რომლის მიზანია სპექტაკლების შეთავსება სენსორული შეზღუდულობის მქონე მაყურებელთან და თავისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რათა იყოს ხელმისაწვდომი ყველა მაყურებლისთვის, აგრეთვე მოძრაობის შეზღუდულობის მქონე.

საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის დამწყებ შშმ პირებს აგრეთვე შეუძლიათ დაფინანსების მოპოვება PFRON-ის მხრიდან:

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის PFRON სახსრებიდან დოტაცია,[17] **შშმ პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის, სასოფლო მეწარმეობის დაწყებაზე ან სოციალური კოოპერატივში ანარიცხის შეტანაზე**, თუ ამ პირმა არ მიიღო აუნაზღარებელი სოციალური სახსრები განკუთვნილი ამ მიზანზე. უფლებამოსილები არიან - შშმ პირები 1997 წ. 27 აგვისტოს, შშმ პირთა პროფესიულ და სოციალური დასაქმების და რეაბილიტაციის შესახებ კანონის (საკანონ. მაცნე, 2011 წ. № 127, პოზ. 721 შემდგ. ცვლილ.) გაგებით პოვიატის

[16] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/pracownik-pomagajacy/
[17] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/przyznanie-srodkow-na-podjecie-d/

შრომის უწყებაში უმუშევრად ან უმუშევარ სამსახურის მაძიებლებად დარეგისტრირებულები. დახმარების მაქსიმალური თანხა შეადგენს ჩვეულებრივი ხელფასის თხუთმეტმაგ თანხას (ე.ი. ჩვეულებრივი თვიური ხელფასისა, ეროვნულ ეკონომიკაში წინა კვარტალში, მთავარი სტატისტიკური უწყების თავმჯდომარის მიერ გამოცხადების შემდეგ პირველ დღეს). დოტაციის თანხა განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებაში, რომელიც განსაზღვრავს მისი მომწერი მხარეების (სტაროსტა და შშმ პირი) ვალდებულებებს. სასოფლო მეწარმოების შემთხვევაში არ უნდა გაადაჭარბოს 15.000 EUR.

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდიდან სახსრები შეიძლება მიენიჭოს ეკონიმიკური საქმიანობის მქონე ან საკუთარი ან დაქირავებული სასოფლო მეურნეობის მქონე შშმ პირს, ამ საქმიანობის გასაგრძელებლად ბანკიდან აღებული კრედიტის პროცენტული განაკვეთის 50% დაფინანსებაზე.[18] ეს დახმარება შეიძლება იყოს მინიჭებული ეკონიმიკური საქმიანობის მქონე ან საკუთარი ან დაქირავებული სასოფლო მეურნეობის მქონე შშმ პირს, თუ განმცხადებელი:

- არ სარგებლობდა ეკონომიკური ან სასოფლო საქმიანობის დასაწყებად აღებული სესხით ან სესხი იყო სრულიად გადახდილი ან გაუქმებული,
- არ მიიღო აუნაზღაურებელი სახსრები ეკონომიკური ან სასოფლო საქმიანობის დასაწყებად ან ჰქონდა ეწეოდა საქმიანობას არანაკლებ 24 თვის განმავლობაში ამ მიზანზე დახმარების მიღების დღიდან.

დაფინანსება შეადგენს ბანკის ამ საქმიანობის გასგრძელებლად აღებული კრედიტის პროცენტული განაკვეთის მაქსიმალურად 50%-მდე თანხას. დაფინანსების თანხა განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის ხელშეკრულებით, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდებ მხარეების ვალდებულებებს (სტაროსტა და შშმ პირი).

ეკონომიკური საქმიანობის მქონე შშმ პირმა შეიძლება მიიღოს შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის (PFRON) სახსრებიდან საპენსიო და დახმარებების სავალდებულო გადასახადების დაფინანსება[19] შესატანის შესაბამის თანხამდე, რომლის განზომილების საფუძველი განსაზღვრულია 1998 წ. 13 ოქტომბრის კანონის სტატიაში 18 პუნქ. 8 და სტატ. 18a სოციალური დაზღვევების შესახებ (ერთ. ტექსტი საკანონ. მაცნე 2013 წ. პოზ. 1442, შემდგომი ცვლილ.). დახმარების მიღების უფლებამოსილი პირი არის ეკონომიკური საქმიანობის მქონე პირი, 2004 წ. 2 ივლისის, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების შესახებ (ერთ. ტექსტი საკანონ. მაცნე. 2013 წ. პოზ. 672 შემდგომი ცვლილ.) კანონის გაგებით. არ შეიძლება მეწარმეს ჰქონდეს დავალიანება ფონდის მიმართ, რომელიც აღემატება საერთო ჯამში 100 ზლოტს. თუ არსებობს ესეთი დავალიანება, ფონდის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე გასცემს გადაწყვეტილებას სოციალური დაზღვევის გადასახადების ანაზრაურების შეწყვეტაზე განმცხადებელის

[18] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/dofinansowanie-do-kredytu/
[19] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/przyznanie-srodkow-na-podjecie-d/

დავალიანების გადახდის დრომდე. გადაწყვეტილება ძალაშია გაცემის დღიდან. დახმარების თანხა

1) საპენსიო და დახმარებების დაზვევების გადასახადებების სავალდებულო თანხის 100 % - მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონე პირების შემთხვევაში;
2) საპენსიო და დახმარებების დაზვევების გადასახადებების სავალდებულო თანხის 60 % - ზომიერი შეზღუდულობის მქონე პირების შემთხვევაში;
3) საპენსიო და დახმარებების დაზვევების გადასახადებების სავალდებულო თანხის 60 % - მსუბუქი შეზღუდულობის მქონე პირების შემთხვევაში.

შშმ სოფლის მეწარმეს ან სოფლის მეწარმეს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს გადასახადი შშმ ოჯახის წევრისა, შეუძლია მიიღოს შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის (PFRON) სახსრებიდან სოფლის მეწარმეების სოციალური დაზღვევის ანაზრაურება - უბედური შემთხვევების, ავადმყოფობის, დეკრეტული და საპენსიო-დახმარებების. ეს გადასახადები.[20] გამოთვლილია და გადახდილია 1990 წ. 20 დეკემბრის, სოფლის მეწარმეების სოციალური დაზღვევის შესახებ კანონში განსაზღვრულ წესებზე (საკანონ. მაცნე 2008 წ. № 50, პოზ. 291, შემდგ. ცვლილ.). შშმ სოფლის მეწარმის ან სოფლის მეწარმის სავალდებულო გადასახადები, რომლებსაც იხდის შშმ ოჯახის წევრისთვის, გამოთვლილია და გადახდილია 1990 წ. 20 დეკემბრის, სოფლის მეწარმეების სოციალური დაზღვევის შესახებ კანონში განსაზღვრულ წესებზე. გადასახადების ანაზრაურების მიღების პირობაა მოცემულ პერიოდში გადასახადების დროული გადახდა.

'კარგი პრაქტიკის' მაგალითი

HURT-PAPIER Ryszard Cebula Sp. J. არის ფირმა, რომელიც ბაზარზეა 1991 წლიდან და ეწევა ბიუროს მომსახურებას (service office) საოფისე მასალების კომპლექსური მომარაგების ფარგლებში, აგრეთვე არის ქაღალდის ერთერთი უდიდესი საბითუმო საწყობი კარპატების სავოევოდოში. ამავე დროს, იგი ეკუთვნის ამ პროდუქტების უდიდეს დისტრიბუტორების ჯგუფს პოლონეთში. რიშარდ ცებულა, უსინათო მეწარმე ჟეშოვიდან, რომელმაც მისი პროფესიული მომავლის აწყობისას მოიპოვა სამუშაო არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვებისთვისაც, მათში შშმ მქონე პირებისთვის. - დღეს ფირმა, რომლის მფლობელი ვარ, ასაქმებს 57 ადამიანს და სხვადასხვა რეიტინგებში შედის კარპატების სავოევოდოს 100 უდიდეს ფირმებში - ამბობს რიშარდ ცებულა, ფირმა „Hurt-Papier"-ის მფლობელი. შეზღუდულობამ არ წამართვა ჩემი ოცნება. მიყვარს მოგზაურობა. არა უშავს, რომ ვერ ვხედავ, სამაგიეროდ ვგრძნობ ქარს, მზეს, ზღვის სურნელს, ტყეს, სხვა ქვეყნების გემოს - დაამატა.

Accessible Poland Tours - **Małgorzata Tokarska** – 49 წლის, ინგლისური ენის მასწავლებელი და ლექტორი (შშმ პირი), პოლონეთში ხნიერი და შეზღდულობის მქონე ხალხისთვის პირველი, ლიცენზირებული, ინტერნეტული ტურისტული ბიუროს დამფუძნებელი,

[20] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/niepelnosprawni-rolnicy/

ამბობს: ბიუროს მისიაა უზრუნველყოს კლიენტები მრავალმხრივი და კომპლექსური ტურისტული მომსახურებით მათი წლოვანების და შეზღუდულობის სახეობის მიუხედავად (განსაკუთრებით მოძრაობის ფუნქციის შეზღუდულობის მქონე და ინტელექტუალიური შეზღუდულობის მქონე ტურისტებისთვის), ისე რომ თავგადასავლებით სავსე მოგზაურობა გადიოდეს კომფორტულ პირობებში.

შშმ პირთა PFRON-ის სახსრებიდან დასაქმების მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ფორმაა (არამარტო ამ სახსრებიდან) პოლონურ კანონმდებლობაში სპეციალური შრომითი დაწესებულებები, რომლებიც შშმ პირთათვის სამუშაო ადგილების გარანტიას იძლევიან, მათში დასაქმებული შშმ პირები კი დასაქმებულები არიან სპეციალურ პირობებში და ჰქმნიან **დაცული შრომის ბაზარს**. დაცული შრომის ბაზარზე ფირმების ძირითადი სახეობები პოლონეთში არის:

- **დაცული შრომის დაწესებულები (ZPCh),**
- **პროფესიული გააქტიურების დაწესებულებები (ZAZ).**

ფირმების ორივე ფორმა გათვალისწინებულია როგორც სამუშაო ადგილები იმ შშმ პირთათვის, რომლებსაც სხადასხვა მიზეზების გამო აქვთ სირთულეები ღია შრომის ბაზარზე დასაქმებაში. როგორც ZPCh, აგრეთვე ZAZ იძლევა შშმ პირთა დასაქმებისთვის მომზადების საშუალებას მომავალში შრომის ღია ბაზარზე.

დაცული შრომის დაწესებულებების მქონე დამსაქმებლებს და პროფესიული გააქტიურების დაწესებულებების ორგანიზატორებს ეკუთვნის სხვადასხვა საზღაურებისგან და გადასახადებებისგან განთავისუფლება, შშმ პირთა ხელფასების ყოველთვიური დაფინანსება, აგრეთვე ფინანსური დახმარების სხვა ფორმები. პროფესიული გააქტიურების დაწესებულებების შემთხვევაში, საჯარო სახსრებიდან დაფინანსებულია მათი შექმნაც.

დაცული შრომის დაწესებულება არის ბიზნესის ერთეული, რომელიც მუშაობს მოგებაზე, ამავედროს შშმ პირთა დიდი რიცხვის დასაქმებით სარგებლობს ფინანსური დახმარების რიგი ფორმებით.

პროფესიული გააქტიურების დაწესებულება არის სოციალური ეკონომიკის ერთეული, რომელიც არ მუშაობს მოგებაზე, შესაძლო მოგებას კი ახმარებს შშმ მუშაკების რეაბილიტაციიასთან დაკავშირებულ მოქმედებებს.

დაცული შრომის დაწესებულება[21] არის დამსაქმებელი, რომელსაც ვოევოდმამ მიანიჭა ეს სტატუსი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ფორმით. დაცული შრომის დაწესებულების სტატუსის პრეტენზიის განცხადება შეუძლია ნებისმიერ დამსაქმებელს, რომელიც:

- აქვს ეკონომიკური საქმიანობა არანაკლებ 12 თვის განმავლობაში,
- ასაქმებს არანაკლებ 25 მუშაკს სრული სამუშაო დროის მასშტაბით;

[21] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/zaklady-pracy-chronionej/

- აღწევს მინიმუმ 6 თვის პერიოდის განმავლობაში შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელს:
    - არანაკლებ 50%, მათში დასაქმებულების არანაკლებ 20% უნდა იყოს მნიშვნელოვანი ან ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე პირები;
    - არანაკლებ 30% იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი ასაქმებს უსინათლო ან ფსიქიურად დაავადებულ პირებს, ან მნიშვნელოვანი ან ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე გონებრივად ჩამორჩენილ პირებს;
- დაცული შრომის დაწესებულებების მიერ მოხმარებული ობიექტები და შენობები უნდა ასრულებდნენ შრომის უსაფრთხოების და ჰიგიენის კანონებს და წესებს და გაითვალისწინონ შშმ პირთა მოთხოვნილებები, სამუშაო ადგილების და ჰიგიენურ-სანიტარული ფართების და საკომუნიკაციო ტრაქტების შეთავსების ფარგლებში და შეასრულონ მათი ხელმისაწვდომობის მოთხოვნილებები;
- დაცული შრომის დაწესებულების უფროსი ჰქმნის შშმ პირთა რეაბილიტაციის დაწესებულების ფონდს, რომლის სახსრები განკუთვნილია სოციალური, პროფესიული და სამკურნალო რეაბილიტაციის დაფინანსებაზე.

დაწესებულების შშმ პირთა რეაბილიტაციის ფონდი იქმნება სხვათაშორის შეღავათებიდან:

- უძრავი ქონების, სასოფლო და სატყეო გადასახადისგან გათავისუფლებისა,
- სამოქალაქო სამართლის მოქმედებების გადასახადისგან გათავისუფლებას,
- გადასახადებისა გარდა სანაციური ხასიათის მქონე გადასახდელებისა და სახაზინო გადასახდელებისა
- ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადის ნაწილის წინასწარ გადახდილი თანხიდან გათავისუფლებისა (საგადასახადო დაბეგვრის შკალის პირველი მონაკვეთში),

2014 წლის პირველი ნახევარწლედის ინფორმაციის საფუძველზე, ივნისის ბოლოს დაწესებულებების რაოდენობა შეადგენდა 1 334, რომლებშიც დასაქმებული იყო საერთი ჯამში 196 943 ადამიანი, მათში 157 573 შშმ პირები, მათში 44 221 სპეციალური დაავადებებით.

'კარგი პრაქტიკის' მაგალითი – შპს Łuksja, მთავარი ოფისი ლუკოვში, მოქმედებს ბაზარზე 1 ნოემბრიდან 2009 წ. ლაურეატია LODOŁAMACZ-ის კატეგორიაში ZPCH. საზოგადოებას გააჩნია დაცული შრომის დაწესებულების სტატუსი. ამჟამად დაასაქმებს 236 პირს, რომელთაგან 70% შშმ პირებია. დაარსდა გენ. კლებერგის სახელობის Łuksja კოოპერატივის ეკონომიკური გარდაქმნის და კოოპერატივის, როგორც აღმოსავლეთ პოლონეთში უდიდესი პროდუცენტის და ექსპორტერის, მთლიანი ინფრასტრქუტურის დაკავების და დიდი გამოცდილების სარგებლობის შედეგად. გარდაქმნისას ყველა წევრები გახდნენ საზოგადოების მეწილეებად. ფირმის საქმიანობის მთავარო პროფილი არის მაღალ

დონეზე გადამუშავებული, გაკეთილშობილებული, ქალის ტანსაცმლის წარმოება. საზოგადოება უზრუნველყოფს მუშაკებს ძირითად, სპეციალიზირებულ და სარეაბილიტაციო სამედიცინო მომსახურებას თანამედროვე სამედიცინო-სარეაბილიტაციო აპარტურით მოწყობილ კლინიკაში. დაწესებულება აწყობს მუშაკების პროფესიული კვალიფიცირების ასამაღლებელ სწავლებებს და ატარებს საქველმოქმედო საქმიანობას ფიზიკური პირების და სხვადასხვა ორგანიზაციების სასარგებლოდ. მონაწილეობს შშმ პირებისთვის ფესტივალების, პიკნიკების, ინტეგრაციული ტურების ორგანიზებაში. ფირმა ეხმარება ყველა შშმ პირს ლუკოვის პოვიატში, ორგანიზრებული ასოციაციის შუამავლობით, ამ პირების საკითხებში. ასოციაცია ატარებს ოკუპაციური თერაპიის სემინარს მნიშვნელოვანი ხარისხის შეზღუდულობის მქონე 40 მონაწილესთვის. ცენტრი ამზადებს მონაწილეებს პროფესიული გააქტიურების დაწესებულებებში სამსახურის დასაწყებად და ასწავლის მათ საზოგადოებაში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ძირითად მოქმედებებს.

ინვალიდების კოოპერატივები და უსინათლოთა კოოპერატივები. ამ კოოპერატივებს გააჩნით დაცული შრომის დაწესებულების სტატუსი.[22] ქვეყანაში არსებობს **350** და მათ ძალიან გამართულად მოახერხეს საბაზრო ეკონომიკის ახალ წესებთან შეთავსება. ამან აიძულა სავაჭრო, მომსახურებითი და პროდუქციული დაწესებულებების გარდაქმნა თანამედროვე გზით მართულ და მოწყობილ თანამედროვე სუბიექტებში. ინვალიდების გაერთიანება ეს არის უპირველეს ყოვლისა მაღაზიები, პროდუქციული, მომსახურებითი დაწესებულებები - რომლებიც სთავაზობენ ქონების დაცვის და დასუფთავების მომსახურებას. ინვალიდების კოოპერატივებში დასაქმებულია საერთო ჯამში **დაახ. 27 000** პირი. ამ რიცხვის დაახლოებით **82%** არის სხვადასხვა შეზღუდულობის მქონე დასაქმებული ინვალიდები. ინვალიდების კოოპერატივები და უსინათლოთა კოოპერატივები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დასაქმებულ შშმ პირთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ მოქმედებებს. ყოველ მეორე კოოპერატივში არსებობს დაწესებულების სამედიცინო და სარეაბილიტაციო ცენტრი. საშუალოდ, დაახ. 30 შშმ პირი ყოველი კოოპერატივიდან ხვდება სარეაბილიტაციო სანატორიუმებში. ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამით მოცულია თითქმის 28% მნიშვნელოვანი და ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე პირებისა. ეს საქმიანობა ფინანსურად ამარაგებს შშმ პირთა დაწესებულების რეაბილიტაციის ფონდს. დაფინანსების სისტემა საშუალებას აძლევს დაწესებულებებს აინაზღაურონ შშმ პირების დასაქმებისას გაზრდილი ხარჯები, რაც უმაღლესი ხარისხის პროდუქტების და მომსახურების წარმოების და ამ გზით თავისუფლ ბაზარზე ეფექტური კონკურენტობის საშუალებას იძლევა. **ინვალიდების და უსინათლოების კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის მყიდველი ყველა კონტრაჰენტი გათავისუფლებულია შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის სავალდებულო გადასახადისგან.**

'კარგი პრაქტიკის' მაგალითი - უსინათლოთა კოოპერატივი Nadodrze დაარსდა 1960 წელს. მისი საქმიანობის პირველ პერიოდში აწარმოებდა ნაწარმს შემდგომ სფეროებში: – ხის

[22] http://www.krs.org.pl/index.php?option=com_content&view=article&id=161&Itemid=349

მასალები: ჯაგრისები და ფუნჯები – მეტალის: მავთულის ღობეები, საწოლის ბადეები, ფარდა წნელები, ელექტრო დამაგრძელებლები, სამგზავრო და სატვირთო ავტომობილების საწვავის და მუხრუჭების მავთულები. შემდგომ წლებში, ფირმის საქმიანობა მუდმივად გარდაისახებოდა და მიისწრაფვიდა თავისი შეთავაზების მომხმარებლების მოთხოვნილებების მიმართ შეთავსებაზე. ასეთნაირად, 90-იან წლებში, კოოპერატივებში განვითარდა საყოფაცხოვრებო საქონლის მოწყობილებებში სითხის და გაზის გამყვანი ინსტალაციის ელემენტების წარმოება, მათ შორის გაზქურების, მაცივრების და საყინულეების, ტანსაცმლის სარეცხის საშრობებისა. დასაქმებულია დაახლოებით 170 ადამიანი. ამჟამად წარმოებულია ეს ასორტიმენტი, ფირმა Nadodrze კი აწარმოებს საყოფაცხოვრებო საქონლის რენტაბელური და ცნობილი ფირმებისთვის. კვალიფიცირებული ჯგუფი და თანამედროვე მანქანების ფარეხი ნაწარმის მაღალი ხარისხის გარანტიაა და უზრუნველყოფს მისი წარმოების სრულ შეთავსებას ROHS-ის დირექტივასთან, რომელიც მოქმედებს ფირმაში 2005 წლიდან - ხარისხის მართვის ინტეგრირებული სისტემა ISO. აქვს აგრეთვე გაზქურების ინსტალაციის მილაკების წარმოებაზე უსაფრთხოების ნიშანი „B". უსინათლოთა კოოპერატივს Nadodrze გააჩნია დაცული შრომის დაწესებულების სტატუსი. უსინათლოთა კოოპერატივს Nadodrze გააჩნია 80-ადგილიანი სასტუმრო სწავლებების, შეხვედრების და საოჯახო შეხვედრების ორგანიზებისთვის.

პროფესიული გააქტიურების დაწესებულება[23] (**ZAZ**)არის ცალკე ორგანიზაციული და ფინანსური ერთეული, შექმნილი მნიშვნელოვანი და ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე შშმ პირთა დასაქმების მიზნით, რომლებსაც დადგენილი აქვთ აუტიზმი, გონებრივი ჩამოჩენილობა ან ფსიქიური დაავდება. **ZAZ შეიძლება შექმნას:**

- პოვიატმა, გმინამ, ფონდმა, ასოციაციამ, სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელთა საწესდებო ამოცანაა შშმ პირთა პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია.

ZAZ-ის სტატუსის მოსაპოვლებად, ორგანიზატორებმა უნდა შეასრულონ შემდეგი პირობები:

- არანაკლებ 70% შშმ პირების დასაქმება (დასაქმების მდგომარეობა პროფესიული გააქტიურების დაწესებულებებში დათვლილია მუშაკების რიცხვით), რომლებიც დასაქმდნენ განსაკუთრებით პოვიატების შრომის უწყებების მეშვეობით:
- მნიშვნელოვანი ხარისხის შეზღუდულობის მქონე პირების,
- ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე პირების, რომლებსაც დაუდგინდა აუტიზმი, გონებრივი ჩამორჩენილობა ან ფსიქიური დაავადება, მათში პირების, რომელთა მიმართ ოკუპაციური თერაპიის სემინარების პროგრამულმა საბჭომ დაწესა დაცული შრომის პირობებში დასაქმების დაწყება და პროფესიული რეაბილიტაციის გაგრძელება. თუმცა, დასაქმებულ, ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის მქონე პირების

[23] http://www.niepelnosprawni.gov.pl/zatrudnienie-osob-niepelnospraw-/zaklady-aktywnosci-zawodowej/

რაოდენობამ არ შეიძლება გადააჭარბოს დასაქმებულების საერთო რაოდენობის 35%.

- პროფესიული გააქტიურების დაწესებულების მიერ მოხმარებული ობიექტების და ფართის შეთავსება უსაფრთხოების წესების და შრომის ჰიგიენის თანახმად. მთავარი ელემენტია აგრეთვე დაწესებულებაში დასაქმებული შშმ პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინება მათი სამუშაო ადგილების და ჰიგიენურ-სანიტარული ოთახების (საპირფარეშო, სასადილო) და კომუნიკაციური ტრაქტების შეთავსების ფარგლებში.
- სტაროსტის დადებითი დასკვნის მოპოვება მოცემულ ადგილზე პროფესიული გააქტიურების დაწესებულების შექმნის მოთხოვნილების შესახებ.

პროფესიული გააქტიურების დაწესებულების შექმნის შესახებ განცხადება შეტანილი უნდა იყოს სავოევოდოს მარშალეკთან, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან დაფინანსებისა და დაწესებულების შექმნის და მოქმედების ხარჯების შესახებ. ხელშეკრულების დადების წინ, მიმდინარეობს მოლაპარაკებები მისი პირობების და PFRON-ის სახსრებიდან დაფინანსების თანხის თაობაზე. PFRON-ის სახსრებიდან დაფინანსების მაქსიმალური თანხამ, პროფესიული გააქტიურების დაწესებულების შექმნაზე, არ უნდა გადააჭარბოს ამ ხარჯების 65%. სამაგიეროდ ZAZ-ის მოქმედების დაფინანსების შემთხვევაში კი არ უნდა გადააჭარბოს 90%. პროფესიული გააქტიურების დაწესებულების სტატუსის მინიჭების შესახებ ყველა პირობების შესრულების დამამტკიცებელ გადაწყვეტილებას გასცემს ვოევოდი.

პროფესიული გააქტიურების დაწესებულების ორგანიზატორი ჰქმნის დაწესებულების გააქტიურების ფონდს, რომელზეც გადასცემს:

- საქმიანობის შემოსავლებიდან მოპოვებულ სახსრებს,
- ადგილობრივი (სასოფლო, სატყეო და უძრავი ქონებიდან) გათავისუფლებული გადასახადებიდან დარჩენილ სახსრებს,
- ფიზიკური პირებისგან, საშემოსავლო გადასახადისთვის წინასწარ გადახდილი თანხებიდან შემოსულ სახსრებს.

დაწესებულების გააქტიურების ფონდი გათვალისწინებულია შშმ პირთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მაგ. შშმ პირის დამოუკიდებლად ცხოვრებაში და ადგლობრივი გარემოს სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაში დამხმარე აპარატურის და მოწყობილებების შეძენა, მომზადებაში, აშენებაში, ინდივიდუალური და ჯგუფური ფორმის შშმ პირთა დაცული საცხოვრებლების რემონტში და მოწყობაში დახმარება, აგრეთვე დამატებით სწავლებაში, გადაკვალიფიკაცირებაში და სწავლებაში და ა.შ.

კარგი პრაქტიკის მაგალითი - სამვარსკვლავიანი პანსიონატი და რესტორანი „U Pana Cogito” სამუდამოდ შეერწყმა კრაკოვის პეიზაჟს. ამ ადგილის ყველა სტუმრებმა კი არ იცის, რომ ეს არის სანიმუშო სოციალური დაწესებულება, რომელიც ასაქმებს ფსიქიურად დაავადებულ პირებს და საშუალებას აძლევს ეფექტურად ებრძოლონ ავადმყოფობას.

პანსიონატში „U Pana Cogito” მუშაობს 30 ადამიანი, მათში 21 ფსიქიური კრიზისის გადატანილი და 9 ჯანმრთელი. ეს ფირმა არის პროფესიული გააქტიურების დაწესებულება. ყველა მუშაკი დასაქმებულია სამუშაო ხელშეკრულებით. ZAZ-ის ფორმულა ითვალისწინებს საქმიანობის დაფინანსებას PFRON-ის სახსრებიდან. დაფინანსება მოიცავს აგრეთვე სარეაბილიტაციო ფართის რჩენის ხარჯებს. ZAZ-მა შეიძლება ისარგებლოს PFRON-ის დაფინანსების მეორე წყაროდანაც - დაფინანსების და ანაზღაურების მომსახურების სისტემა (SODiR), შშმ მუშაკების ხელფასების ხარჯის ნაწილის ანაზღაურების ფორმით. სამუშაო ადგილები შეთავსებულია დაწესებულების თითოეული მუშაკის შესაძლებლობებთან და მოთხოვნილებებთან. ზოგიერთ შშმ მუშაკს აქვს შრომის ექიმის თანხმობა ღამის საათებში მუშაობისა და სამუშაო დრის გაგრძელებისა. ZAZ ცდილობს, რომ შშმ პირის შემთხვევაში ღამის მორიგეობის რაოდენობა არ იყოს კვირაში 1-2-ზე მეტი, ამის გარდა უმეტესობა ღამის მორიგეობებს ასრულებენ ჯანრთელი პირები (დასაქმებულია დამატებით ჯანმრთელი პირი, ე.წ. ღამის მიმღები). გარდა ამისა, ღამის საათებში მორიგეობის დროს, წესების თანახმად, მუშაკებს შეუძლიათ ისარგებლონ დასვენებით და ძილისთვის შესვენებით სპეციალურ ადგილას. სასტუმროს საქმიანობიდან მოგება მთლიანად გადაცემულია დაწესებულების გააქტიურების ფონდზე (ZFA) და გამოყენებულია მხოლოდ სარეაბილიტაციო საქმიანობაზე, სამედიცინო ზრუნვის, სანატორიუმების, ბანაკების, ექსკურსიების ჩათვლით. ჯანმრთელი პირები მხარს უჭერენ ავადმყოფ მუშაკებს, ეხმარებიან გადალახონ ყოველდღიური პრობლემები, ასწავლიან მათ თუ როგორ მოიქცნენ რთულ სიტუაციებში. რადგან ყველასთვის არ არის იოლი. ავადმყოფ პირებს ხშირად აქვთ პრობლემები უცხ ხალხთან კავშირისას, აგრეთვე ხშირად განიცდიან საკუთარი ფასეულობის დაბალი შეგრძნების გამო. ამიტომ, ჯანმრთელი ადამიანის ფრთხილი ზრუნვა არის აუცილებელი. პანსიონატის ფართი - ხარჯების განაწილების აუცილებლობის გამო - დაყოფილია საყოფაცხოვრებო და სარეაბილიტაციო ნაწილებად. ასეთნაირად გაადვილებულია ხარჯების კონტროლი, შემოწმება, არის თუ არა ფული დახარჯული საქმიანობის სახეობის თანახმად. საყოფაცხოვრებო ფართი სტუმრებისთვის მოიცავს: - მისაღებს: მუშაობს აქ ხუთი ფსიქიურად ავადმყოფი პირი; - 40-კაციან რესტორანს სტუმრებისთვის: აქ დასაქმებულია სამი ჯანმრთელი პირი - პროფესიონალური მზარეული, ოფიციანტი, ერგო-თერაპევტი (კარგი რესტორნის ყოფილი მენეჯერი, რესოციალიზაციის პედაგოგიკის დამთავრებული) და 10 შშმ პირი; - 6 ოთახი: ალაგებს და ემსახურება ხუთი დამლაგებელი, ყველა არის შშმ; მათ ეხმარება პანსიონატის უფროსის მოადგილე. მუშაკებისთვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო ფართი იკავებს დაახ. 35% პანსიონატის მთლიანი ფართისა. გამოყოფილ ადგილებში შეუძლიათ ისარგებლონ მასაჟიორი-სავარძლით ან მუსიკოთერაპიით, გაიარონ თერაპევტული გასაუბრება ექთანთან. ყოველ მუშაკს, სამუშაო დროის ფარგლებში, ეკუთვნის ყოველდღიურად არაუმცირეს ერთი საათი რეაბილიტაცია.

სოციალური კოოპერატივი (სოციალური კოოპერატივში ღვაწლის შესატანად, შშმ პირმა ან უმუშევარმა სამსახურის მაძიებელმა პირმა შეიძლება მიიღოს სახსრები PFRON-იდან – იხ. ზემოთ**) ეს არის სოციალური ეკონომიკური დაწესებულების განსაკუთრებული მაგალითი.** სოციალური კოოპერატივები შეიძლება იყვნენ დაფინანსებული და მხარდაჭერილი აგრეთვე სხვა წყაროებიდან, ვიდრე PFRON, განსაკუთრებით შრომის ფონდის სახსრებიდან, თვითმმართველობების საკუთარი სახსრებიდან და ევროპის სახსრებიდან. ეს არის სპეციალური კანონის საფუძველზე მოქმედი სოციალური დაწესებულების განსაკუთრებული ფორმა.[24]

[24] http://www.krs.org.pl/index.php?option=com_content&view=article&id=111&Itemid=173

მას ჰქმნიან უმეტეს წილად პოტენციურად მარგინალიზირებული პირები უმუშევრობის, **შეზღუდულობის,** ან ფსიქიური დაავადების გამო, რომლებსაც სირთულებს განიცდიან სამსახურის შოვნაში. სოციალურ კოოპერატივებში მუშაობა მათ შანსს აძლევს სოციალურად და პროფესიულდა გააქტიურებისა, ინტეგრაციისა, მათი კვლიფიკაციების ამაღლებისა. სხვა სოციალური ეკონომიკური სუბიექტებისგან გასხვავებით, სოციალური კოოპერატივი მოითხოვს მისი წევრებისგან დიდ დამოუკიდებლობას და პასუხისმგებლობას. აქ მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების კოლექტიური ხერხი, ყოველი წევრი კი, კოოპერატივში წილის სიდიდიდან დამოუკიდებლად, გააჩნია ამ პროცესში ერთი ხმა. ამის შედეგად, კოოპერატივის წევრები სრულიად პასუხისმგებლები არიან ფირმის საქმიანობაზე, სწავლობენ დამოუკიდებლობას და გრძელვადიან დაგეგმვას. თვითონ უვლიან ფინანსებს, მართავენ საკუთარ საქმიანობას, გაიკვეთენ განვითარების მიმართულებას. პოლონეთში ამჟამად არის 320-ზე მეტი სოციალური კოოპერატივი, მათი რიცხვი კი იზრდება თვიდან თვემდე. ესეთი კოოპერატივის დაფუძნება შეიძლება არანაკლებ 5 პირის მიერ ან არანაკლებ 2 იურიდიული პირის მიერ, მაქსიმალური წევრების რაოდენობა კი არის 50 ადამიანი. გამონაკლისია ინვალიდების კოოპერატივის ან უსინათლოების კოოპერატივის გარდაქმნა სოციალურ კოოპერატივში. ამ სიტუაციაში არ არსებობს შეზღუდვები, წევრების რაოდენობის მხრივ. ასეთი კოოპერატივების წევრები არიან გამორიცხული ჯგუფების ან სოციალური გამორიცხვის საფრთხეში მყოფი ჯგუფების პირები, მათში იურიდიული მოქმედებების შესრულებისთვის უუნარო პირები და სხვა პირები, თუ მათი სამუშაო კოოპერატივში მოითხვოს სპეციალურ კვლიფიკაციებს.

კარგი პრაქტიკის მაგალითი - კოოპერატივი „50+” შექმნილი იყო ხუთი შშმ ქალის მიერ: ორი უმუშევარი, ორი ნაადრევ პენსიაზე, და ერთი დახმარებაზე მყოფი. არცერთი არ გადაწყვეტდა ინდივიდულურ ეკონომიკურ საქმიანობას, კოოპერატივი კი აძლევს მათ გაერთიანების შეგრძნებას და გარანტიას, რომ შეუძლობის შემთხვევაში შეუძლიათ ერთმანეთის იმედი ჰქონდეთ. მოქმედებენ შეუწყვეტლად 2007 წ. 1 სექტემბრიდან. მოახერხეს PFRON-ის ანაზღაურების მიღება, აგრეთვე მოახერხეს სოციალური დაზრვევების (ZUS) გადასახადებების ანაზრაურების მიღება საქმიანობის პირველ წელს. ოთხი მათგანისთვის კოოპერატივის საქმიანობიდან ხელფასი არის რჩენის წყარო. კოოპერატივის მთავარი ოფისი არის თავჯდომარის კერძო ბინა. საოფისე აპარატურაზე კოოპერატივმა გრანტი მიიღო შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროდან საქმიანობის პირველი წლის შემდეგ. უვლიან უფროს და შშმ ადამიანებს (უფრო ნაკლებად ავადმყოფ ადამიანებს საკუთარი შეზღუდულობის გამო), იღებენ ობიექტების და ოფისების დალაგების დაკვეთებს. დააქვთ რეკლამები - ეს დაკვეთა მოიპოვეს კონკურსში გამარჯვებით. რეკლამას იკეთებენ დამხარე დაწესებულების მეშვეობით, უწყებებში და ნაცნობების მეშვეობით. თავიდანვე, გადაწყვიტეს, რომ ყოველი მათგანი თვითონ მოძებნის და ორგანიზებას მოაწყობს საქმიანობის იმ სახეობას, რომელიც მათ შეესაბამება (მაგ. ავადმყოფების მოვლა). ამ მოდელმა გაამართლა იმდენად, რომ დაასაქმეს ახალი მუშაკები. ამჟამად სულ არიან შვიდნი, ყველა 50+ ასაკში, ზომიერი და მნიშვნელოვანი შეზღუდულობის მქონე. წევრებმა ჩათვალეს, რომ კოოპერატივს უნდა ჰყავდეს მმართველი პირი - გახდა იგი გრაჟინა სკორუპკა, ხელმარჯვე ორგანიზატორი, რომელიც მართავს ფირმას და ერთდროულად არის სხვების მუშაობის ზედამხედველი. დამაარსებლებმა გაიცნეს ერთმანეთი გდინის ამაზონკების საზოგადოებაში. დაახლოვა

ისინი გავლილმა ავადმყოფობამ. საზოგადოების უფროსობა ავრცელებდა კოოპერატივის იდეას, და როდესაც აღმოჩნდა რომ ერთ-ერთი მათგანი საჭიროებს დახმარებას ყოველდღიურ ფუნქციონირებაში (შშმ პირის ასისტენტისა), გაუჩნდათ სამეურვეო მომსახურების კოოპერატივის შექმნის აზრი. ასოციაციამ დააკავშირა ისინი გდინის ინტეგრაციულ ცენტრთან, რომელმაც მოაწყო სწავლება სოციალური კოოპერატივის ჩამოყალიბების თემაზე (მონაწილეობდნენ მასში აგრეთვე სხვა შშმ პირები და მათ საკითხებში მოქმედი გარემოდან პირები) და დაეხმარა წესდების დაწერაში. საჭირო ცოდნა და უნარიანობა მოიპოვეს სხვა სწავლებებში მონაწილეობით, რომლებიც ორგანიზებული იყო სხვათა შორის შრომის უწყებებში, ქალაქის მერიის, Caritas-ის, ასოციაციის WAMA-COOP, PCK-ის, ფირმის Combidata Poland მიერ. სწავლებები მოიცავდნენ ასეთ საკითხებს, როგორებიცაა: სამუდამოდ არამობილური პირების მოვლა, პირველი დახმარება, გაყიდვის ტექნიკები, შშმ პირთა კარიერის ინდივიდუალური გზები. რას ურჩევენ კოოპერატივის წევრები სხვებს: კოოპერატივის ჩამოყალიბებამდე, უნდა გაერთიანდეს ჯგუფი, რაც ძალიან მთავარია. თავმჯდომარემ ადრე დააფიქსირა სხვა კოოპერატივის შექმნის წარუმატებელი მცდელობა, სადაც მიზეზი ურთიერთგაგების უქონლობა იყო. უნდა შევქმნათ ერთიანობის შეგრძნება, დროის ერთად გატარების, შეხვედრების და ფირმის საერთო საკუთრების გაცნობიერების საშუალებით. უნდა მიიღოთ მონაწილება ინტეგრაციის ცენტრების მიერ ორგანიზებულ, მოცემული სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებულ სწავლებებში, მოიძიოთ უწყებებში, ეძებოთ ინტერნეტში. უნდა ეცადოთ გრანტების მოპოვება, ყოველგვარი შეღავათების გამოყენება - დაგეხმარებიან ამაში გმინის უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სოციალური კოოპერატივი „Serce" დაარსდა რაკონიევიცეში, ოკუპაციური თერაპიის სემინარის (WTZ) სამსახურისთვის მზადმყოფნი WTZ-ში მონაწილეთა დასაქმების შესაძლებლობის ძიებაში მიზანმიმართულების და ჩართვის მეშვეობით. კოოპერატივი არის ბავშვების დახმარების ასოციაციის „Serce" და ასოციაციის „Wioska" შორის ჩამოყალიბებული პარტნიორობის ეფექტი, პროექტის „WTZ-ს მონაწილეთა პროფესიული გააქტიურების ინოვაციური მოდელი" ფარგლებში. „'ოციალური კოოპერატივების საკითხებში ასოციაციის' მიერ, 'პოზნანში სოციალური პოლიტიკის რეგიონალურ ცენტრთან' და ფირმასთან Konimpex Sp. z o.o. პარტნიორობით, განხორციელებული პროექტი მხარს უჭერს სოციალური კოოპერატივების ეკონომიკური საქმიანობის შესახებ აზრების განვითარებას, რაც ჰქმნის სამუშაო ადგილებს WTZ-ს მონაწილეებისთვის. კოოპერატივმა რაკონიევიცედან ძალები მიმართა უპირველეს ყოვლისა იმ პროდუქტზე, რომელიც ადგილობრივად უკვე ცნობილი იყო როგორც WTZ-ის ნაწარმი - ღუმელები, ბუხრები და გრილის სახმელებელი. *ზოგიერთმა მონაწილემ უკვე კარგად იცის პროდუქციის მთელი პროცესი - დაწყებული ხის პირველადი დამუშავებიდან, დაჭრის, და ჩეხვის და გაპარაფინების, შეკვრა და შეფუთვამდე* - აღნიშნავს მიროსლავა სვოროვსკა, კოოპერატივის ლიდერი. ის, რასაც აქამდე აწარმოებდა WTZ, შეიძლება უკვე იყოს წარმოებული დიდი მასშტაბით. კოოპერატივი აპირებს შეისყიდოს სახმელებელის წარმოების მანქანები და დააპატენტოს წარმოების საკუთარი მეთოდი. რაკონიევიცეში WTZ-ის ყოფილი მონაწილეები იმუშავებენ არა მარტო წარმოებისას, არამედ აგრეთვე დაკავდებიან უშუალო და ინტერნეტული გაყიდვით. სამუშაო იქნება ბევრი - სოციალური კოოპერატივის „Serce" პროდუქტით უკვე დაინტერესებული არიან საბითუმო მაღაზიები, ავტოგასამართი სადგურები და მაღაზიების ქსელები. მას მოითხოვენ აგრეთვე ადგილობრივი საცალო კლიენტები, ასე რომ კოოპერატივი აპირებს მოამარაგოს უშუალო მყიდველების ქსელიც.

ZPCH I ZAZ და სოციალური და ინვალიდების კოოპერატივები არის შშმ პირების სამუშაო ხელშეკრულებაზე დამსაქმებელი ერთეულები. ქვემოთ აღწერილი WTZ-ები განკუთვნილია პირთათვის, რომლებისთვის სამსახურის შესაძლებლობის მოპოვება დასაქმების ფორმით არ არის შესაძლებლებლი რეაბილიტაციის აქტუალური ეტაპზე.

ოკუპაციური თერაპიის სემინარი[25] არის სამსახურის მოპოვების უუნარო შშმ პირებისთვის პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობის შემქმნელი ცალკე ორგანიზაციული და ფინანსური ცენტრი, დასაქმების მოპოვებისთვის აუცილებელი უნარიანობის შეძენისა და აღდგენის ფარგლებში. სემინარი არ არის დამოუკიდებელი ცენტრი, არამედ იურიდიული პირის სტატუსის ან იურიდიულ უნარიანობის მქონე უფრო დიდი ორგანიზაციული სტრუქტურის ნაწილია. სემინარი შეიძლება ორგანიზებული იყოს ფონდის, საზოგადოების ან სხვა სუბიექტების მიერ. სემინარის მიზანია:

- შშმ პირთა პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის პროცესის აქტიური მხარდაჭერა,
- სამსახურის მოპოვების უუნარო შშმ პირებისთვის პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობის შექმნა, დასაქმების მოპოვებისთვის აუცილებელი უნარიანობის შეძენისა და აღდგენის ფარგლებში.

ზემოთ ნახსენები მიზნების განხორციელებას ემსახურება მონაწილეთა დამოუკიდებლობისკენ მიმართული, ოკუპაციური თერაპიის ტექნიკების გამოყენება, მათთვის ყოველდღიური მოქმედებების შესრულების უნარის და პირადი ხელმარჯვეობის მინიჭებით, აგრეთვე ფსიქოფიზიკური გამართულობის უნარის გამომუშვება და პროფესიული, ძირითადი და სპეციალიზირებური უნარის განვითარება, რაც პროფესიულ სწავლებაში მონაწილეობის მიღების ან სამსახურის დაწყების საშუალებას აძლევს. სემინარების მონაწილეები შეიძლება იყვნენ იურიდიულად დამტკიცებული შეზღუდულობის სტატუსის მქონე, სამსახურის დაწყებისთვის უუნარო პირები. სემინარზე მიღებულ შშმ პირებს უნდა გააჩნდეთ მათ ცნობაში მიმართვა ოკუპაციურ თერაპიაში მონაწილეობაზე. სემინარში მონაწილე შშმ პირთა განცხადებებს იღებს და ამტკიცებს სემინარის ჩამტარებელი ან წამყვანი ერთეული. სემინარში ჩატარებულ თერაპია განხორციელდება მონაწილის რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შშმ პირის, მის მიმართ დაგეგმილი მოქმედებების და ამ მოქმედებების მოსალოდნელი ეფექტების შესახებ. სემინარში მოქმედებს პროგრამული საბჭო, რომელიც ასრულებს სემინარის მონაწილეს რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის განხორციელების პერიოდულ და, არაუმცირეს ყოველ 3 წელს, კომპლექსურ შეფასებას და გამოხატავს აზრს მის მიერ რეაბილიტაციაში მიღწეული პროგრესის თაობაზე, რაც ასაფუძვლებს:

[25] http://www.niepelnosprawni.gov.pl/rehabilitacja-spoleczna/warsztaty-terapii-zajeciowej/

- დასაქმების დაწყებას და პროფესიული რეაბილიტაციის გაგრძელებას დაცული შრომის პირობებში ან შეთავსებულ სამუშო ადგილზე,
- შშმ პირის მიმართვის აუცილებლობას მხარდაჭერის ცენტრში, რეაბილიტაციაში პროგრესის უქონლობის გამო და შემდგომი პროგრესის მიღწევის ცუდი პროგნოზის გამო, რომლებიც ასაფუძვლებენ დასაქმების დაწყებას და პროფესიული რეაბილიტაციის გაგრძელებას დაცული შრომის პირობებში ან შრომის ბაზარზე სემინარში გავლილი შემდგომი რეაბილიტაციის შემდეგ,
- თერაპიაში მონაწილეობის გაგრძელება რეაბილიტაციაში პროგრესის დადებითი პროგნოზის გამო, რაც საშუალებას აძლევს დასაქმდეს და გააგრძელოს პროფესიული რეაბილიტაცია დაცული შრომის პირობებში ან შრომის ბაზარზე, ან დასაქმების დროებითი შეუძლებლობა, ან მხარდაჭერის ცენტრში შშ პირის გაგზავნის დროებითი შეუძლებლობა.

სემინარის შექმნის, მოქმედების და მისი მონაწილეთა რიცხვის გაზრდიდან გამომდინარე ხარჯები დაფინანსებულია PFRON-ის სახსრებიდან, ტერიტორიული თვითმმართველობების სახსრებიდან ან სხვა წყაროებიდან. თანადაფინანსების პრინციპი ნიშნავს სემინარების შექმნის და მოქმედების ხარჯების სოლიდარულად გადახდას, პოვიატის დონეზე ტერიტორიული თვითმართველობის ერთეულებისა და შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის მიერ. ოკუპაციური თერაპიის სემინარის მოქმედების ხარჯების ფონდის სახსრებიდან მაქსიმალური დაფინანსება, მათში სემინარის მონაწილეთა რიცხვის გაზრდიდან გამომდინარე, შეადგენს:

- 90% ამ ხარჯებისა.

ოკუპაციური თერაპიის სემინარის შექმნის ხარჯების ფონდის სახსრებიდან მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს - ამ ხარჯების 70%. სემინარის შემქმნელ ერთეულს შეაქვს განცხადება სათანადო, სემინარის ოფისის მდებარეობიდან გამომდინარე, ოჯახის დახმარების პოვიატის ცენტრში, სემინარის შექმნის და მოქმედების ხარჯების PFRON-ის სახსრებიდან დაფინანსების შესახებ.განცხადებას უნდა დართული ჰქონდეს სემინარის შექმნის პროექტი.

პროექტი შეიცავს, სხვათა შორის სემინარის შემქმნელი ერთეულის წესდებას, სემინარის მონაწილე არანაკლებ 20 კანდიდატის განცხადება, მათი შეზღუდულობის ხარისხის და სახეობის განსაზღვრით, სემინარის მოქმედების გეგმა, სადაც განსაზღვრულია სემინარის მონაწილეებთან სამუშაო მეთოდები პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციის ფარგლებში, სემინარის მონაწილეთა რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამების დამუშავების ვალდებულება, სემინარის შტატური შემადგენლობის შეთავაზება, გამორჩეული თანამდებობების რაოდენობით, მუშაკების სავადებული კვალიფიკაციები, სემინარის შექმნის ხარჯთაღრიხვა და სემინარის წლიური მოქმედების ხარჯთაღრიცხვა. განცხადება შეფასებულია არსობრივი და ფორმალური მხრიდან დახმარების ცენტრში შექმნილი ჯგუფის მიერ. ჯგუფის შეფასებაზე დაყრდნობით, პოვიატი აწერს

სემინარის შემქმნელ ერთეულთან ხელშეკრულებას, სადაც განსაზღვრულია ფონდის სახსრებიდან სემინარის შექმნის და მოქმედების ხარჯების დაფინანსების პირობები და თანხის სიდიდე.

‘კარგი პრაქტიკის’ მაგალითი - ოკუპაციური თერაპიის სემინარები Rakoniewice. დაარსდნენ შშმ პირთა მოთხოვნილებებზე რეაქციის შედეგად, ბავშვთა დახმარების საზოგადოების SERCE მხარდაჭერით 2000 წლის 1 მარტს. თავიდან ირიცხებოდა 20 ადამიანი, ამჯამად არის 50 ადამიანი. შშმ პირები მუშაობენ 10 სახელოსნოში: * შინაური მეურნეობის სახელოსნო * ხელოვნების სახელოსნო *კომპუტერული სახელოსნო *სუვენირების სახელოსნო *პლასტიკის სახელოსნო *სამკერვალო სახელოსნო *მებაღეობის სახელოსნო *ტექნიკური სახელოსნო *ხელნაკეთი ქაღალდის სახელოსნო *სარეაბილიტაციო სახელოსნო. ოკუპაციური თერაპიის სემინარები ქმნიან მონაწილეთა განვითარების და დამოუკიდებლობის პირობებს. სემინარები მათ საშუალებას აძლევენ აღმოჩნდნენ ე.წ. „სრულყოფილი“ ხალხის გარემოში, აძლევენ ღისრეული ცხოვრების შანსს, მათ ოჯახებს კი უწევენ კონკრეტულ დახმარებას. გეპატიჟებით ჩვენი სემინარების მონაწილეობაში, სადაც პატიოსნად ვმუშაობთ აქტიურ დასვენებაზე. სემინარებში შეგვიძლია შევასრულოთ ძალიან საინტერესო და ხშირად არნახული ნამუშევრები - ხელნაკეთობები. გვიხარია, როდესაც მათ ვყიდით, ამიტომაც ვაწყობთ ჩვენი „სახელოსნოების“ ნაკეთობების ბაზრობებს და გამოფენებს. სახელოსნოებში ჩატარებული სამუშაოებების და ისეთი დამატებითი კურსების გარდა, როგორებიცაა: სამეჯლისო ცეკვის სწავლა, კაბარე დადგმები “wótezecik“ (WTZ), სპორტული კურსები და ა. შ. ხშირად ვმონაწილეობთ პიკნიკებში, არტისტულ და პლასტიკის მიმოხილვებში, კონკურსებში, სპეციალურ ოლიმპიადებში, ტურნირებში, რაფტინგში, ველოსიპედების ტურებში. ოკუპაციური თერაპიის სემინარები უზრუნველყოფენ კურსებზე ტრანსპორტს!

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის ძირითადი მისიაა პროფესიულ და სოციალურ რეაბილიტაციაში მხარდაჭერა. გააქტიურებას, როგორც ფონდის საქმიანობის მთავარი მიზანი, ირეკლავს **PFRON-ის პროგრამების** პრინციპები, რომლებიც ავსებენ ფონდის საწესდებო ამოცანების ფარგლებში განხორციელებულ მოქმედებებს. საერთო ჯამში ეს არის შშმ პირთა სხვადასხვა გარემოებისაკენ მიმართული სპეციალიზირებული მოქმედებები. პროგრამის ფორმულა ელასტიურად გაწეული დახმარების, სხვადასხვა გარემოების გაქტიურების სპეციალიზირებულ მოთხოვნილებებთან შეთავსების საშუალებას იძლევა. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სოციალურ და პროფესიულ რეაბილიტაციაზე მომუშავე პროგრამები განხორციელებულია PFRON-ში უკვე 11 წელია. ამ დროის განმავლობაში, განხორციელდა რამდენიმე ათეული სხვადასხვა პროგრამა. 2014 წელს, პროგრამების განხორციელებაზე ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხა - **დაახ 142 მლნ ზლ,**

ამჟამად დასაქმების მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელებული პროგრამებია:

1. აქტიური თვითმართველობა
2. Junior - სწავლადამთავრებული შშმ პირების პროფესიული გააქტიურების პროგრამა.

1. **აქტიური თვითმმართველობა**[26] - 1 თებერვალს 2011 წ., შშმ პირთა საკითხებში სამთავრობო წარმომადგენელმა და პოლონეთის პოვიატების კავშირის მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ მოაწერეს შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ პოვიატების თვითმართველობების ერთობლივი მოქმედებების ფარგლებში შშმ პირთა უფლებების ბარათის განხორციელებისა და სოციალური ინტეგრაციის საკითხში. შეთანხმების მხარეებს შორის თანამშრომლობის მიზანია პოვიატების თვითმართველოებთან თანამშრომლობის გამყარება და გაუმჯობესება და თვითმართველობების მხარდაჭერა მათ მიერ წამოწყებულ საქმიანობაში შშმ პირთა ადგილობივ საზოგადოებაში ინტეგრაციის საკითხში, შესაძლებლობისმაგვარად ფართო ფარგლებში. პროგრამა აქტიური თვითმართველობა მნიშვნელოვანი ნაბიჯია შშმ პირთა მიმართ სოციალური პოლიტიკის უფრო ეფექტური მოდელის მიმართულებით. პროგრამაში გათვალისწინებული მოქმედებები ავსებენ პოვიატების სტრატეგიებში და შშმ პირთა საკითხებში მოქმედებების პროგრამებში შეტანილ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის გეგმებს. საშუალებას აძლევენ თვითმართველობებს უფრო აქტიურად ჩაერთონ შშმ პირთა სოციალური ინკლიუზიის სასარგებლოდ გაწეულ მოქმედებებში. პროგრამაში გათვალისწინებული მხარდაჭერის ფორმები შეეხება შშმ პირთა სოციალური და პროფესიული ფუნქციონირების შემზღუდავი ბარიერების აღმოფხვრას. პროგრამის სტრუქტურა შეიცავს სხვათა შორის:
   - მოდული I – სოციალური და პროფესიული გააქტიურების ბარიერების აღმოფხვრა
   - მოდული II – მაღალ დონეზე განათლების მოპოვებაში დახმარება.

2. **Junior**- შშმ სწავლადამთავრებულები შეადგენენ შშმ პირთა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელიც უმუშევრობის საფრთხეშია. შშმ ახალგაზრდობის შორის უმუშევრობის პრობლემა იზრდება წლიდან წლამდე, მისი გადაჭრა კი მოითხოვს მყარ მოქმედებებს, რომლებიც მიმართულია უპირველეს ყოვლისა შშმ მოსწავლეთა განათლებაზე, ბაზრის მოთხოვნილებების მიხედვით, განსაკუთრებულად მათი მიდრეკილებების და ფიზიკური ან ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, აგრეთვე მოითხოვს, შეზღუდულობის შედეგების შემსუბუქების ფარგლებში, მოქმედებების ჩატარებას, თუნდაც სოციალურ და პროფესიული ცხოვრებაში გამართული ცხოვრების შემაფერხებელ სხვადასხვა ბარიერების აღმოფხვრას. პროგრამაში „JUNIOR – შშმ სწავლადამთავრებულების პროფესიული გააქტიურების პროგრამა” გათვალისწინებული მოქმედებების მიზანია შშმ სწავლადამთავრებულების რთული სიტუაციის გამოსწორება შრომის ბაზარზე. პროგრამის საერთო მიზანია: შშმ პირთა შესაძლებლობების გაზრდა სტაჟირებისას, როგორც შრომის ბაზრის ინსტრუმენტისა.[27]

---

[26] http://www.pfron.org.pl/pl/programy-i-zadania-pfr/aktywny-samorzad/1644,dok.html

[27] http://www.pfron.org.pl/pl/programy-i-zadania-pfr/junior-2015/2463,JUNIOR-program-aktywizacji-zawodowej-absolwentow-niepelnosprawnych.html

შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდი (PFRON) 2007 წლიდან, ახორციელებს ევროპულ პროექტებს, რომელთა მიზანია სხვადასხვა შეზღუდულობის მქონე პირების მხარდაჭერა შრომის ბაზარზე შესვლაში.

ფონდი მოქმედებს როგორც ოპერაციული 'პროგრამის სახალხო რესურსი 2007-2013' სისტემური ბენეფიციარი, რაც ნიშნავს რომ ამ პროგრამის ფარგლებში გააჩნია ევროპის სოციალური ფონდიდან სპეციალური ცალკე ფინანსური სახსრები, რომლებიც შშმ პირებისთვის მიძღვნილ პროექტის დაგეგმვის, დანერგვის და განხორციელების საშუალებას იძლევიან. PFRON ახორციელებს პროექტებს, პარტნიორულ პრინციპებზე დაყრდნობით, ღია რეჟიმში შერჩევით, რომლებიც საკუთარი გამოცდილებით და კადრული და ორგანიზაციული წესებით საშუალებს იძლევა ეფექტურად და რაციონალურად განხორციელდეს დაგეგმილი მოქმედებები განსაზღვული შეზღუდულობის მქონე პირებისთვის. ყოველ არჩეულ ორგანიზაციას გააჩნდა შშმ პირთა სოციალური და პროფესიული რეაბილიტაციის მრავალწლიანი გამოცდილება ეროვნული ან საკუთარი სახრებიდან, აგრეთვე ევროკავშირის სახსრების გამოყენებით. პარტნიორობის ფარგლებში, თანაგანხორციელებულ პროექტებში ორგანიზაციებს შეაქვთ იმ დროისთვის მოპოვებული გამოცდილება, სახალხო რესურსები სპეციალისტების კადრების ფორმით (მასწავლებლების, ფიზიოთერაპევტები და ა.შ.) და ტექნიკური ბაზა (მაგ. რეაბილიტაციის აპარატურა, ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომა და ა.შ.). განხორიცელებული პროექტების მნიშვნელოვანი მიზანია შშმ პირებისთვის კომპლექსური მხარდაჭერის გაწევა შრომის ღია ბაზარზე შესვლაში. კომპლექსურობა ამ შემთხვევაში ნიშვანს, რომ პროექტული მოქმედებები მიმართულია შშმ პირის ცხოვრების სხვადასხვა სფეროების მხარდაჭერისკენ. ასეთი მიდგომის გამო, შშმ პირი არა მარტო იღებს სწავლებებში ან სტაჟირებებში მონაწილეობის შესაძლებლობას, არამედ აგრეთვე იღებს სპეციალისტების, ფსიქოლოგებიდან და იურისტებიდან დაწყებული დამოუკიდებელი ცხოვრების ინსტრუქტორებამდე დამთავრებული, მხარდაჭერას. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ პროექტის ყოველი მონაწილე მოპყრობილია ინდივიდუალურად, მხარდაჭერის პროცესში კი ჩართულია შშმ პირის გარემო, ანუ ოჯახი და მეურვეები.

პროფესიული რეაბილიტაციის და დასაქმების ფარგლებში განხორციელებული პროექტებია, სხვათა შორის:

- საჯარო ადმინისტრაციაში სტაჟირება - შშმ პირთა შრომის ბაზარზე სოციალური და პროფესიული გააქტიურების მხარდაჭერა და შშმ პირთა დადებთი იმიჯის შექმნა,
- შრომის მწვრთნელი როგორც შშმ პირთა დასაქმების გაზრდის ხერხი,
- სწავლადამთავრებულების მხარდაჭერა შრომის ბაზარზე შესვლაში,
- მოძრაობაში შშმ პირთა მხარდაჭერა შრომის ბაზარზე IV,
- უსინათლო პირების მხარდაჭერა შრომის ბაზარზე III,
- იშვიათი შეზღუდულობის და რამდენიმე შეზღუდულობის მქონე პირების მხარდაჭერა 45+ ასაკში შრომის ბაზარზე II,

- გაფანტული სკლეროზის მქონე პირების მხარდაჭერა, რამდენიმე შეზღუდულობის მქონე პირების ჩათვლით, შრომის ბაზარზე,

კანონის თანახმად, შშმ პირების პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის ფარგლებიდან ამოცანები შეიძლება იყოს განხორციელებული ფონდის დაკვეთით ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.
ნახსენები ამოცანები შეიძლება განხორციელებლი იყოს ფონდის სახსრებიდან ფონდების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე სავოევოდოს ან პოვიატის თვითმართველობის დაკვეთით. პუნქტებში 1 და 2 ნახსენები ამოცანების დაკვეთისას, გამოიყენება შესაბამისად პრინციპები 2003 წ. 24 აპრილის კანონიდან საჯარო სარგებლობის და მოხალისეობის საქმიანობის შესახებ.[28] პუნქტში 1 ნახსენები მხარდაჭერა ტარდება შემოთავაზებების ღია კონკურსის ჩატარების შემდეგ, თუ ცალკეული კანონები არ ითვალისწინებენ დაკვეთის სხვა ფორმებს. ფონდებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაუკვეთონ, შშმ პირთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის სახსრებიდან, შემდგომი ამოცანების განხორციელება პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის ფარგლებიდან:

1) შშმ პირთა რეაბილიტაციის ჩატარება სხადახვა ტიპის ცენტრებში;
2) შშმ პირთათვის სწავლებების, კურსების, სემინარების, გარემოს ჯგუფების და სოციალური გააქტიურების ჯგუფების მოწყობა და ჩატარება - რაც პროფესიულად და სოციალურად გააქტიურებენ ამ პირებს;
3) შშმ პირთა, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციის პროცესში ჩართული მათი ოჯახის წევრებისთვის, მეურვეებისთვის და მოხალისეებისთვის სწავლებების, კურსების და სემინარების მოწყობა და ჩატარება, განსაკუთრებით შშმ პირთა უახლოეს გარემოსთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესთან, მათი ცხოვრებისეული აქტიურობის გაზრდასთან და პირად ხელმარჯვეობასთან, ეკომონმიკურ დამოუკიდებლობასთან, შშმ პირებთან მუშაობის უნარის ამაღლებასთან, მათზე ზრუნვის და მათი რეაბილიტაციის პროცესში დახმარების გაწევის ჩათვლით, დაკავშირებილი საკითხების გათვალისწინებით;
4) ფსიქოლოგიური, სოციალურ-იურიდიული კონსულტაციების გაწევა და კუთვნილი უფლებების, არსებულ მომსახურეობების, სარეაბილიტაციო აპარატურის და შშმ პირთათვის ტექნიკური დახმარების თემაზე ინფორმაციის გაზიარება;
5) ჯგუფური და ინდივიდუალური კურსების ჩატარება, :

   a) რომლების მიზანია, შშმ პირთა დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების მოპოვება, განვითარება და შენარჩუნება,
   b) რომლებიც ავითარებენ დაზიანებული სმენის, ლაპარაკის აპარატის, აუტიზმის და ინეტელეტურალური შეზღუდულობის მქონე პირების გარემოსთან გამართული კომუნიკაციის უნარს,

[28] http://www.pozytek.gov.pl/Ustawa,o,dzialalnosci,pozytku,publicznego,i,o,wolontariacie,405.html

c) რომლებიც აუმჯობესებენ და მხარს უჭერენ აუტიზმის და ინტელეტურალური შეზღუდულობის მქონე პირების ფუნქციონირებას სხვადასხვა სოციალური როლებში და სხვადასხვა გარემოში;

6) შშმ პირთა შრომის ბაზარზე ჩართვისკენ მიმართული ინტეგრალური მოქმედებების ორგანიზირება და ჩატარება, გასაკუთრებით:

   a) პროფესიული კონსულტაციებით,
   b) ცხოვრებისეული და პროფესიული გზის ინდივიდუალური გეგმის მომზადებით და დანერგვით,
   c) პროფესიული და სამსახურის შუამავლობის თაობაზე სპეციალიზირებული კონსულტაციების ჩატარებით, რომელთა მიზანია შშმ პირთა სამსახურის აქტიური ძებნა და დასაქმების შენარჩუნების მომზადება;

7) სწავლების განმავლობაში, უსინათლო და მოძრაობის შეზღუდულობის მქონე პირებისთვის გიდი-ძაღლების შეძენა, გაწვრთნა და რჩენა;
8) ჟესტების ენის მთარგმნელების და გიდი-მთარგმნელების სწავლებების ორგანიზირება და ჩატარება;
9) შშმ პირთათვის ადგილობრივი, რეგიონალური და საყოველთაო პოლონური კულტურული, სპორტული, ტურისტული და დასვენებითი ღონისძიებების ორგანიზება ამ სფეროებში მათი აქტიურობის მხარდასაჭერად;
10) შშმ პირთა სოციალური და პროფესიული ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში აქტიურობის პრომირება;
11) საინფორმაციო კამპანიის ჩატარება შშმ პირთა ინტეგრაციის და მათი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საკითხში;
12) პუბლიკაციების, მუდმივი გამოცემების და კომპაქტური გამოცემების შემუშავება და გამოქვეყნება, მათში ელექტრომაგნიტურ და ელექტრონულ მედიაზე:

   a) შეზღუდულობასთან დაკავშირებულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ,
   b) შშმ პირთათვის მიმართული - მათში გადიდებული შრიფტით გამოქვეყნებული, ბრაილის ანბანით ან წასაკითხად გაადვილებული ტექსტით.

ამ მიზანზე ბიუჯეტი 2014 წელს შეადგენს 163 მლნ ზლ

მაგალითად 2014 წ.სექტემბერში გამოცხადებული იყო კონკურსი XV.[29] კონკურსი ჩატარდა 24 აპრილს 2003 წ. საჯარო სარგებლობის საქმიანობის და მოხალისეობის შესახებ კანონის (საკანონ. მაცნე 2014 წ. პოზ. 1118) პრინციპების თანახმად. კონკურსი განხორციელებულია კანონის სტატ. 11, პუქნტ. 1 ქვეპუნქტ. 1 ამოცანების განხორციელების მხარდაჭერის ფორმით. ამოცანების

[29] http://www.pfron.org.pl/pl/zadania-zlecane/2441,XV-Konkurs.html

განხორციელების დაკვეთის შესახებ განცხადების შეტანის უფლებამოსილი სუბიექტები, პროექტის ფარგლებში, არიან:

- 2003 წ. 24 აპრილის, საჯარო სარგებლობის საქმიანობის და მოხალისეობის შესახებ კანონის სტატ. 3 პუნქ.2-ში ნახსენები არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდების და საზოგადოებების ჩათვლით,

- პოლონეთში სახელმწიფოს კათოლიკური ეკლესიის მიმართ შესახებ, სახელმწიფოს სხვა ეკლესიების და სარწმუნოებების მიმართ შესახებ, სინდისიერების და რწმენის თავისუფლების გარანტიის შესახებ კანონების საფუძველზე მოქმედი იურიდიული პირები და ორგანიზაციული ერთეულები, თუ მათი საწესდებო მიზნები მოიცავენ საჯარო სარგებლობის მოქმედების ჩატარებას,

კონკურსის ფარგლებში წარდგენილი შეიძლება იყოს, სხვათა შორის შემდეგ მიზნებთან დაკავშირებული პროექტები: პროგრამული მიზანი 1: შშმ პირთა შესვლა ღია შრომის ბაზარზე.

კონკურსის შედეგად არჩეული იყო 18 ორგანიზაცია, რომლებიც განახორციელებენ ზემოხსენებულ ამოცანებს. ამაზე განკუთვნილმა თანხამ შეადგინა 14 მლნ ზლ.

'კარგი პრაქტიკის' მაგალითები - კატალოგიდან **„პოლონეთში, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული შეზღუდულობის მქონე პირების პროფესიული გააქტიურების კარგი პრაქტიკები". შრომისა და სოციალური საკითხების ინსტიტუტი.**

„კონსულტაცია და კარიერა" – შეზღუდულობის მქონე პირების პროფესიულ და სოციალური გააქტიურების საკითხებში მოქმედი ქსელი. პროექტის ლიდერი იყო ორგანიზაცია WRZOS. პროექტში მონაწილეობდა 6 არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტის 85% დაფინანსებული იყო PFRON-ის მიერ. პროექტი მიმართული იყო მნიშვნელოვანი და ზომიერი ხარისხის შეზღუდულობის შშმ პირებისთვის. პროექტის მთავარი მიზანი იყო ბენეფიციარების პროფესიული გააქტიურება. ქსელში ყოველი რეგიონალური ოფისების ბენეფიციარი იღებდა შრომის შუამავლის, პროფესიული მრჩეველის და ფსიქოლოგის ინდივიდუალურ მხარდაჭერას. ჩატარებული იყო სპეციალიზირებული და პროფესიული სწავლებები და გააქტიურების სემინარები. დასაქმება მოიპოვა 177 ადამიანმა.

„ჩვენც აქტიურები ვართ" ინტელექტუალური შეზღუდულობის მქონე პირების პროფესიული გააქტიურება. პროექტი დაფინანსებული იყო EFS-დან, ბენედიციარები იყო 24 ადამიანი - უმეტესობას გავლილი ჰქონდა WTZ და გარემოს თვითდახმარების სახლები. პროექტის რეალიზატორი იყო შშმ პირების ფონდი „Arkadia". ბენეფიციარებს მონაწილეობდნენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კურსებში. კურსები ეხებოდა საკითხებს სფეროებში: ინტერპერსონალური კომუნიკაცია, სოციალური კომპეტენციები, დამოუკიდებლობა, self-adwokatura-სთვის მომზადება, გარე შეხედულობის მოვლა, პროფესიული კონსულტაციები. ტარდებოდა სტაჟირება შრომის მწვრთნელის მხარდაჭერით და პრაქტიკული კურსები დაწესებულებებში. პროექტში დასაქმებულები იყვნენ პროფესიული მრჩეველები, შრომის მწვრთნელები, ოლიგოფრენპედაგოგები. შედეგად, პროექტის 6 ბენეფიციარმა დაიწყო მუდმივი სამსახური.

შესაჯამებისას, შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად მოქმედი იურიდიული ხერხები ჰქმნიან დასაქმების და პროფესიულ რეაბილიტაციაში მხარდაჭერაში **PFRON**-ის მონაწილეობის შესაძლებლობის ძალიან ფართო სპექტრს. მოპოვებული გამოცდილება შეადგენს კარგი პრაქტიკების ნაკრებს, რომელთა შემდგომ გამოყენება და არსებული ხერხების გაუმჯობესებაა შესალებელი. პოლონური გამოცდილება გვიჩვენებს აგრეთვე, რომ არსებობს შეზღდვები - მაგ. შშმ პირთა დასაქმების დაფინანსების ხარჯების ფარგლებში. შემოწმებული ხერხების ფართო დანერგვაში ძირითადი შეფერხებაა ფინანსური შეზღუდვები. წარდგენილ მაგალითებზე შესაძლო დაყრდნობა, იურიდიულ და ფინანსურ სხვა პიროებებში, მოითხოვს ძალიან ღრმა ანალიზს, აგრეთვე ფინანსურს და მაღალი ეფექტურობისა. მიზანდასახული სჩანს, მათი შესაძლო დანერგვის წინ, რიგი პილოტაჟური პროგრამების ჩატარება.

მასალა დამუშავებულია შშმ პირთა ბიუროს **BON MPiPS** - **http://www.niepelnosprawni.gov.pl** და **PFRON**-ის - **http://www.pfron.org.pl** ინტერნეტულ საიტებზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე